ვერაფერს ვიტყვი, შეიგნო თუ არა მაშინ შუკოვმა, თუ რატომ არ იყო მაშინ იგი დაშვებული ატომური ბომბის შექმნის სამუშაოებთან. და გვარი **“კურჩატოვი”** მაშინ ბევრის მთქმელი არ იქნებოდა მარშლისათვის. მაგრამ, შუკოვის გარდა პოტსდამში იმყოფებოდა კიდევ ერთი საბჭოთა კავშირის მარშალი, რომელმაც, რა თქმა უნდა, შუკოვის მოგონებებში ნახსენები არ არის, მაგრამ ამასთან, ეს მარშალი ძალიან კარგად უწყობდა, თუ რას ნიშნავდა გვარი **“კურჩატოვი”**. ამასთან, ეს მარშალი უკვე დიდი ხანია რაც იცნობდა პროფესორ (იმ დროისათვის, ალბათ, უკვე აკადემიკოს) კურჩატოვს. პოტსდამის კონფერენციის დამთავრებიდან მცირე ხანში ისინი ერთად შეუდგებიან ატომურ პროექტზე მუშაობას, ერთად და მეტად ნაყოფიერად!

ეს საბჭოთა კავშირის მარშალი გახლდათ ლავრენტი ბერია, რომელიც პასუხისმგებელი იყო საბჭოთა დელეგაციის უსაფრთხოებაზე. 1953 წელს ბერია უკვე საპატიმრო კამერიდან შეახსენებდა მოლოტოვს, რომ მიუხედავად ბერიას, პოტსდამში,

როგორც უსაფრთხოების ხაზით ყოფნისა, მოლოტოვი მტკიცედ მოითხოვდა მის შეკვანას ოფიციალური დელეგაციის შემადგენლობაში.

ყველა შემთხვევაში, თუნდაც ლავრენტი ბერია არ ყოფილიყო სსრკ ოფიციალური დელეგაციის შემადგენლობაში, იგი მაინც რჩებოდა საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ. და მიუხედავად ყველაფრისა, სტალინს მაინც არ შეეძლო უცებ არ ეცნობებინა ბერიასათვის ტრუმენტთან საუბრის შინაარსი. იგი ვალდებულიც კი იყო გაეკეთებინა ეს, რადგან 1944 წლის 3 დეკემბერს თავად დაამტკიცა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის **N7069**ს დადგენილება, რომლის დასკვნით ნაწილში ეწერა: **“დაევალოს ამხანაგ ბერიას ურანის სამუშაოთა მიმდინარეობის კონტროლი”**. თუ გავისხენებთ, რომ ადრე ეს კონტროლი დაკისრებული ჰქონდათ პერეზინსა და კაუტანოვს და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის პირველ დოკუმენტებში ფიგურირებდა მოლოტოვის გვარიც, ნათელია, რომ მიუხედავად მძინვარე ომისა, ბერიას დაევალა იმ საქმეზე ზრუნვა და კონტროლი, რომელსაც სხვები, უბრალოდ, ვერ შესძლებდნენ. უფრო დამაჯერებელი რომ ვიყო, მოვიყვან ციტატას ერთ-ერთი მოხსენებითი ბარათიდან.

1944 წლის 19 მაისს კურჩატოვი წერილს წერს სტალინის სახელზე **“ურანის წარმოების საქმეში არსებული პრობლემების შესახებ 1944 წლის 20 მაისის მდგომარეობით”**, სადაც აღნიშნულია:

“ამხანაგების მოლოტოვის, პერეზინისა და კაუტანოვის უშუალო დახმარებისა და მხარდაჭერის წყალობით ლაბორატორიამ გადალახა ანგარიშგასაწვეი პრობლემები, გაძლიერდა და ახლა მთელი მონღოლებით მუშაობს, რაც ასახულია შედეგებში...”

ამხანაგი პერეზინი იმავე დღეს უგზავნის სტალინს კურჩატოვის წერილს და თან ურთავს საკუთარ ბარათსაც, რომლის მეხუთე პუნქტში სთავაზობს:

“... შეიქმნას სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტთან ურანის საბჭო, რომელიც ყოველდღიურად გააკონტროლებს ურანზე მიმდინარე სამუშაოებს. კომისიის შემადგენლობა ასე წარმომიდგენია: ლავრენტი ბერია (კომისიის თავმჯდომარე), მოლოტოვი, პერეზინი (თავმჯდომარის მოადგილე), აკადემიკოსი კურჩატოვი...”

უკვე ამ წერილიდან ჩანს, რომ კურჩატოვის მადლობის სიტყვები მოლოტოვისადმი მხოლოდ რვეურანსია, რადგან იგი დელიკატური იყო, თუმცა, გაბუტვა იცოდა. მაგრამ, დიდი სამუშაოების დაწყების წინ მაინც გადაწყდა, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, რომ ეს მნიშვნელოვანი პროექტი ისეთი მტკიცე ხელისა და დიდი გამოცდილების მქონე ადამიანისათვის მიენდოთ, როგორც ლავრენტი ბერია იყო. ეს გასაგებია იყო, რადგან საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ ძლიერ მტერს ეომებოდა, ამერიკელებისაგან განსხვავებით კი რუსებს უფლი თავსაყრელად არასოდეს ჰქონიათ.

მაგრამ, ვიდრე შეეუდგები ბერიას მოღვაწეობას ურანის სფეროში, რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ ბერიაზე, როგორც საბჭოთა კავშირის მარშალზე. 1945 წლის 9 ივლისს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით ლავრენტი პავლეს ძე ბერიას მიენიჭა საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება. იმსახურებდა კი ბერია ამ უმაღლეს სამხედრო წოდებას?

ვიდრე ამ შეკითხვაზე პასუხს გავცემთ, ჯერ უნდა ვიკითხოთ: ეკუთვნოდა კი ავიაკონსტრუქტორ იაკოვლევს გენერალ-პოლკოვნიკის წოდება, მაშინ, როცა იგი არცერთხელ არ გასულა ფრონტის ხაზზე, ან ტანკების კონსტრუქტორ დუხოვის ეკუთვნოდა თუნდაც სატანკო ჯარების გენერალ-მაიორობა?

კოლხეთის საქართველო კაცობრიობის სივილიზაციის აკვნის

კოლხეთი ჩვენი სამყაროს უბირველესი და უდიდესი ქვეყანაა. იბერიადა იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე. პროფ. ლეონან სანიძის დასაწყისი: "ილორი" №94, 95, 96, 97, 98, 100, 101, 102, 103, 104.

ლაზ-მეგრელებს უძველეს დროში "ეფუთი" ჰქონიათ, რომელიც დაკარგულად ითვლება. "ეფუთი" არის საკაცობრიო მნიშვნელობის ნამოღვაწრების, ე.ი. შედეგების წიგნის სახელი, იგივე "სიბრძნის კრებული".

სამეგრელოში დიდმა და პატარამ იცის, რომ ძველ დროში არსებობდა სიბრძნის წიგნი "ეფუთი", რომ ამ წიგნში გადმოცემული იყო ქვეყნის წარსული და მომავალი, რომელიც ზუსტად სრულდებოდა და რომ ეს აღნიშნული ქვეყანა იყო ჩვენი სამყაროს დასაწყისი. ჩანს, რომ "ანუნაკი" უნდა ნიშნავდეს "ეფუთს".

გარდა ამისა, უძველეს დროში კოლხ-მეგრელებს ტყეში "შეგდათ" "ტყაშიმაფა" - "ტყის მაფა" - მეფე (ქალი) და "ოჩო კოჩი". "ოჩო კოჩი" ითვლება უძლიერეს,

უძველეს არსებად, რომელიც უწესრიგობას ებრძოდა, არა მხოლოდ ტყეში, არამედ ყველგან. ტყის მბრძანებელი მითოლოგიაში ტყის მეფე ქალია.

შეველვარი ინდიკო კვლევებით ვერს, რომ ქართული წარმართული ეპოქა 7 ათას წელზე მეტს მითვლის, რომ "ბიბლიამდე" ხუთი ქართული წიგნი არსებობდა: 1. "ეფუთი" - 7 ათასი წლის; 2. "მარგალითი" - 7 ათასი წლის; 3. "ტოფშა" - 3.500 წლის; 4. "ტაბუ" - 3.500 წლის; 5. "ოქროს საწმისი" ("კვირბი") - 3.300 წლის და შემდეგ აგრძელებს: "ეფუთი"-ს სამეგრელოს მკვიდრი "პირველ ბიბლიას" ეხსენებენ, რადგან "ათი მცნება" პირველად იქ იყო ჩამოთვლილი. ის მთელი 4 ათასი წლით უსწრებდა ამ აღიარებულ წიგნს (ნათელა ფოფხაძე, რას ნიშნავს სიტყვა "ვერობა", გაზ. "დიოსკურია", 2007 წლის აგვისტო, №44, გვ. 7).

გარდა ამისა სამეგრელოს ჰყავდა პრომეთე, ამირანის მსგავსი სხვა გმირიც, რომელსაც ერქვა არამხუტუტე (ერემხუტუტე).

კოლხეთის (საქართველოს) ნარკუნაძელი სივილიზაცია აკვნს

კოლხეთს (საქართველოს) წარდგინდა ცივილიზაციის ხანგრძლივი პერიოდი აქვს გავლენა. 7 ათასი წლის წინანდელ (ზუსტი თარიღი არ არის დადგენილი) მსოფლიო წარდგინა ("წყარ-ღენა") ატლანტიდის დაღუპვის პლატონი უკავშირებს კოსმოსურ აფეთქებას და ეს გარკვეული

თვალსაზრისით კოლხეთის მეფის ძმის - ფაეტონის (ფაეთონის) მითით ხსნის.

XIX საუკუნის ირლანდიური წარმოშობის ამერიკელი (ფილადელფიელი) მეცნიერი და მწერალი იგნაციოს დონელი წიგნში "ლათინური ენის წარმოშობა", აღნიშნავს, რომ ცენტრალურ ამერიკაში, მაიას ტომში, ცივილიზაციამ ატლანტიდიდან შემოაღწია. "მაია არის წარდგინდა ატლანტიდიდან მოსული კოლხეთის ტომის კულტურული მემკვიდრე" (ვლადიმერ ალფენიტი, ქართველი მწერლის... ჟურნალი "აია", 2002, №11).

იგნაციოს დონელი ამტკიცებს, რომ "კოლხეთს ვერა დამთავრდა ქრისტიან დაბადებამდე რამდენიმე ათასი წლით ადრე". დონელის ცნობებს თუ გავიზიარებთ, გამოდის, რომ ქართულმა ტომებმა კოლხეთში კოლუმბამდე მრავალი საუკუნით ადრე აღმოაჩინეს ამერიკა და იქ დიდი კულტურული მისია შეასრულეს - მაიას ტომს თავისი ალფაბეტი შეუდგინა და კოლხეთის ატლანტიდური ცივილიზაცია დაამკვიდრა ცენტრალურ ამერიკაში.

დონელი ყურდნობა და მის პირველ საბაზო წყაროს წარმოადგენს XVI საუკუნის ქრისტიანი ესპანელი მისიონერის დიეგო დე ლანდას (1524-1579) ხელნაწერი წიგნი "მაიას ტომის ისტორია", რომელიც ინახება ესპანეთის სამეფოს ისტორიული არქივის წიგნსაცავში.

დიეგო დე ლანდა პირველი ქრისტიანი

ეპისკოპოსი იყო იუკატანის ნახევარკუნძულზე, ცენტრალურ ამერიკაში, რომელმაც აღწერა წარდგინდა მაიას ტომის ისტორია, "მაიას ანბანი" და ამ ანბანის წინასახე - "კოლხური ანბანი".

დიეგო დე ლანდას ხელნაწერები პირველად შეისწავლა ფრანგმა კათოლიკე მისიონერმა ბ. დე ბურბომ. მან საფუძვლიანად შეისწავლა "კოლხეთის" ქართველურ ტომებსა და ანბანზე, "კოლხეთს ანბანზე" - "მაიას ანბანზე" დაყრდნობით ძველი ამერიკული წარწერებიც გაიფიქრა.

ფრანგი მეცნიერი ედუარდ დემოლინსი ამბობს: "ეგეოსიდან თუ ხვეით ავიწყოთ, ვხედავთ სამხრეთ გერმანიას, საფრანგეთს... ეს ადგილები ეკავათ იბერებს. ამის კვალი შემონახულია გერმანულ და ფრანგულ ენებში და ამასვე მოწმობს ადგილებისა და მდინარეების სახელები. ეტრუსკები, ისე, როგორც პელაზგები, კოლხეთიდან არიან გადმოსახლებულნი და კოლხეთმა დაუდო სათავე მედიტერანულ კულტურას, მის ფიზიკურ და სოციალურ ტიპს, მის მხატვრულ გემოვნებას".

ან. მარტინი - ინგლისელი მეცნიერი - მიუთითებს: "იბერიელები გახდნენ ბრიტანეთის კუნძულების თანამედროვე მოსახლეობის ერთ-ერთი ძირითადი მამათავრები, განსაკუთრებით, ირლანდიაში, უელსსა და ინგლისის დასავლეთში".

კლიმენტი შელია, აკადემიკოსი

რისტვის უხმობს ჩვენი ხელისუფლება უცხოეთში ბადასხვეწილ ქართველებს

აშშ-ში ვიზიტით მყოფი მიხეილ სააკაშვილი ამ დღეებში ნიუ იორკში ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა და სამშობლოში დაბრუნებისკენ მოუწოდა. ამ მოვლენამ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია ჩვენს სამართალმცოდნეებს, სოციოლოგებს, ეკონომისტებსა და სხვა სპეციალისტებს შორის საზოგადოებრივი სექტორიდან. მათი პოზიციით, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაბრუნების მოტივი ფარსია, რადგან სამშობლოში დაბრუნებული ემიგრანტების დასაქმებაზე საუბარი ზედმეტია, როცა აქ მყოფი ხალხიც სამუშაოს საძებნელად საზღვარგარეთ გარბის. სოციოლოგთა განმარტებით, სააკაშვილის მსგავსი დაბრუნებები და მოწოდებები ერთ მიზანს ემსახურება - საზოგადოებაში შექმნას აზრი, თითქოს საქართველოში ყველაფერი კარგად არის, ქვეყანა ეკონომიკურად ვითარდება და სოციალური უსამართლობა დაძლეულია. ეს მაშინ, როცა საქართველოს არაერთი მოქალაქე უკვე გახდა პრეზიდენტისა და ხელისუფლების პიარკამპანის მსხვერპლი, ემიგრანტებიც ამ ტყუილს ეწირებიან. სამართალმცოდნე ზაქარია ქუცნაშვილმა აღნიშნა: „პიარკამპანის ინტეგრირებული მთლიანობა და სოფლის მეურნეობა; თვითმმართველობის 2006 წლის არჩევნების წინ, როცა ძლიერი ხელისუფლების იმიჯის შესაქმნელად რუსი ჯაშუშების დაკავებაზე მომზადებული ფილმები გაუშვეს, რამაც გამოიწვია ქართული პროდუქციისთვის რუსული ბაზრის ჩაქუჩვა, სოფლის მეურნეობის კედრომა და ათასი სხვა პრობლემა. ასე მოხდა 2008 წელსაც - სააკაშვილის იმიჯი სერიოზულად იყო შეწყვეტილი და პრეზიდენტადაც კი აღარ აღიქვამდნენ. შეღავათი სახელების აღსადგენად ცხინვალის აღება მოისურვა და ამას ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა შესწირა. ახლა კი ამ პიარკამპანისა და ეწირებიან ემიგრანტებიც. უკვე წლებია, მიხეილ სააკაშვილი ასე დადის და საზღვარგარეთ მყოფ ქართველებს აყვავებულ საქართველოს უხანაგეს და დაბრუნებისკენ მოუწოდებს. „სამშობლოში დაბრუნებულ ქართველებს კი დიდი იმედგაცრუება ხვდებათ, რადგან სამსახურს ვერ შოულობენ და ისევ უკან მიდიან“.

ადმინისტრაციული ორბანოები უამრავ ინფორმაციას მაღაგრებ

არასამთავრობო ორგანიზაცია „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნასთან დაკავშირებით 5-თვიანი მუშაობის სტატისტიკური შედეგები გამოაქვეყნა. კვლევა მოიცავს 2010 წლის ოქტომბრიდან 2011 წლის თებერვლის ჩათვლით არსებულ მონაცემებს, რომელთა თანახმად, ორგანიზაციამ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით ადმინისტრაციულ ორგანოებში 539 განცხადება გააგზავნა. პასუხი კი მხოლოდ 251 განცხადებაზე მიღებულია. მათგან სახელმწიფო ორგანოების მიერ სრულყოფილი ინფორმაცია მხოლოდ 178 შეკითხვაზე იქნა გაცემული; 73 განცხადებაზე - არასრულყოფილი; 261 მოთხოვნა დღემდე უპასუხოდა და რჩენილი, ხოლო წერილობითი უარი ინფორმაციის გაცემაზე „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს“ ეცნობა მხოლოდ 27 შემთხვევაში. ანგარიშის თანახმად, პრაქტიკამ ცხადყო, რომ საჯარო დაწესებულებების მხრიდან ინფორმაციის მოწოდების ვადებიც ხშირ შემთხვევაში ირღვევა. გაგზავნილ განცხადებებზე დადგენილი ვადის დაცვით ინსტიტუტმა მხოლოდ 119 პასუხი მიიღო, 159 პასუხი - ვადის დარღვევით. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ინფორმაციის მოწოდების ათდღიანი ვადა მხოლოდ ოთხმა უწყებამ დაიცვა. „პრაქტიკაში, ასევე, ნათლად გამოიკვეთა, რომ, ზოგადად, საჯარო ინფორმაციის გაცემა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გამარტივებულია მხოლოდ მაშინ, თუ გამოთხოვნილი ინფორმაცია არ ეხება საბიუჯეტო ფინანსების ხარჯვას. მაგალითისთვის, როდესაც ვითხოვდით კულტურული ღონისძიებებისა და განხორციელებული პროგრამების ან სახელმწიფო შესყიდვების ჩამონათვალს (მათი ღირებულების გარეშე), ან ევბეგრების მომხმარებელთა რაოდენობას, ამ შინაარსის ინფორმაცია უფრო მაღალი მაჩვენებელი და ვადების დაცვით მოგეწოდა. ადმინისტრაციული ორგანოების თანამდებობის პირთა ანაზღაურების, სამიწვინებო ხარჯებისა და

საბრემლო თანხების შესახებ გაგზავნილ განცხადებებზე მიღებული პასუხების მაჩვენებელი გაცილებით დაბალია.

საკმაოდ ბევრია სრულიად რეაგირების გარეშე დარჩენილი პასუხები; - აღნიშნულია ანგარიშში. 5-თვიანი მუშაობის შედეგების შედეგად ყველაზე გაუმჯობესდა და დახურული ადმინისტრაციული ორგანოები აღმოჩნდნენ პრეზიდენტის ადმინისტრაცია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და თავდაცვის სამინისტრო.

ოფიციალური დადასტურება: ისრაელში ბაქრაძის მიზიტის გადაღება უმძის საპიტის უკავშირდება

ინტერნეტგამოცემა „newsru.co.il“-ის ცნობით, კვირას, 13 მარტს, ისრაელის ქნესეთის თავმჯდომარე რეუვენ რივლინის კანცელარიაში გააგრძელდა ოფიციალური დადასტურება, რომლის თანახმადაც, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძის ისრაელში ვიზიტის გადაღების მიზეზი „ფუქსის საქმეზე“ თბილისსა და ისრაელს შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობა გახდა. „ბიზნესმენ ფუქსთან დაახლოებული პირები დარწმუნებული არიან, რომ ქართული მხარის ბრალდება უკანონოა და რომ საქართველოს ხელისუფლებამ ფუქსი გამოუგულად მდგომარეობაში ჩააყენა. ამ კვირაში მოსალოდნელია დავით ბაქრაძის ვიზიტი ისრაელში. გასულ ოთხშაბათს მისი ქნესეთში მისვლა იგეგმებოდა. ქნესეთის თავმჯდომარე რეუვენ რივლინმა დავით ბაქრაძეს სატელეფონო საუბრისას ვიზიტის დროებით გაუდგინა სთხოვა. რივლინმა უხსნა ბაქრაძეს: ისრაელში მიიწვევენ, რომ საგარეო და საშინაო პოლიტიკური მიზეზების გამო უმჯობესია, ვიზიტი გადაიდოს. გარდა ამისა, რივლინმა აღნიშნა, რომ ისრაელის ბევრი მოქალაქე შეწუხებულია რონი ფუქსის ბედით, რომელიც საქართველოშია დაპატიმრებული. საზოგადოების მხრიდან ზეწოლა ამ საკითხთან დაკავშირებით, ასევე, გახდა იმის მიზეზი, რომ ქნესეთის სპიკერს ბაქრაძისთვის ვიზიტის გადაღება ეთხოვა“.

რუსეთ-საქართველოს მომდევნო შეხვედრა მსო-ს თაობაზე აპრილში შედგება

ქართული და რუსული მხარები მოსკოვის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (მსო) გაწვევიანებასთან დაკავშირებით მომდევნო შეხვედრას აპრილში გამართავენ. ამის შესახებ განუცხადა ჟურნალისტებს 11 მარტს პრემიერ-მინისტრის პრესსპიკერმა ნიკო მჭედლიშვილმა, თუმცა იქვე დასძინა, რომ უფრო ზუსტი თარიღი ჯერჯერობით უცნობია. ბერნში რუსულ მხარესთან შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს პრემიერ-მინისტრის მთავარმა მრჩეველმა და ქართული მხარის მთავარმა მომლაპარაკებელმა მსო-ს საკითხებზე თამარ კოვზირიძემ და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ სერგეი კაპანაძემ. შეხვედრა შევიცარიის შუამავლობით გაიმართა, რომელიც რუსეთის დიპლომატიურ ინტერესებს წარმოადგენს საქართველოში და საქართველოს ინტერესებს რუსეთში მას შემდეგ, რაც ორმა ქვეყანამ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტა. ვაშინგტონი „მალიან აქტიურად მოუწოდებდა“ რუსეთსა და საქართველოს შევიცარიის შუამავლობის პირობებში მოლაპარაკების მაგიდას მისხდომოდნენ, თუმცა აშშ-ის ხელისუფლების წარმომადგენლები ამ მოლაპარაკებებში არაავითარი როლს არ ასრულებენ, იცხობინება New York Times-ი აშშ-ის ადმინისტრაციის მაღალი რანგის წარმომადგენლის სიტყვებზე დაყრდნობით, რომელმაც კომენტარი ანონიმურობის დაცვის პირობით გააკეთა. როგორც უკვე იუწყებოდა საქინფორმი, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრე ლუკაშევიჩმა განაცხადა, რომ საქართველოს მცდელობები, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) რუსეთის გაწვევიანების პირობების „პოლიტიკა“ მოახდინოს, „კატეგორიულად მიუღებელია“ მოსკოვისთვის. ლუკაშევიჩმა შეხვედრას „კონსულტაციები სამხრეთ ფორმატში“ უწოდა. „დიპლომატი უნდა წარმართოს მხოლოდ ვაჭრობასთან დაკავშირებულ იმ საკითხებზე, რომლებიც მსო-ში გაწვევიანებას უკავშირდება. თბილისის სავაჭრო მცდელობები, ზოგიერთი ტიპის პოლიტიკური ასპექტები დააყენოს, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო რუსეთის მსო-ში გაწვევიანების პრობლემასთან, ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია; მინდა ამას კატეგორიულად გავუხსნა ხაზი,“ - განაცხადა ლუკაშევიჩმა. მოსკოვი იმედოვნებს, რომ შევიცარიის შუამავლობა კონსულტაციებში „ფუქსურად დაეხმარება ამ გაჭიანურებული საკითხის მოგვარებას“, - განაცხადა მან. ლუკაშევიჩმა ასევე განაცხადა, რომ ეს თემა ასევე განიხილეს აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა და რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა 9 მარტს მოსკოვში გამართულ შეხვედრაზე. „რუსეთის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა ამ საკითხის პოლიტიკისა და საქართველოს ხელმძღვანელობის მცდელობების დაუშვებლობას, ისეთი ელემენტები შეიტანონ დისკუსიებში, რომლებიც არ ეხმარება გაწვევიანების პრობლემას“, - განაცხადა მან. ოფიციალური თბილისი მოსკოვს პირობად როკისა და ფსოუს უკანონო საბაჟო-გამშვები პუნქტების ღვიგლიზაციას უყენებს.

ჩვენს ახალგაზრდობას საქართველოს ჭეშმარიტ ღირებულებას ისწავლიან?

ბოლო წლებში ბევრჯერ მოთქვამს და ერთხელ კიდევ გაიმეორებ, რომ სიკეთისა და ბირობების გაურჩევლობამ განაპირობა დღევანდელი მდგომარეობა, ჭეშმარიტების შეუცნობლობამ და მასზე ინტერესის დაკარგვამ დაამახინჯა ეროვნული სული და ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დაგვიყენა, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველობა სულიერი ძალების მობილიზებას კი არ შეუდგა, რომ გადაერჩინა ლეგენდარულ წინაპართა მიერ შექმნილი თვითმყოფადი კულტურა, არამედ გათითოვდა და მხოლოდ ბუნებით ნიჭიერმა, მაგრამ სულიერად დაძლიებული ღირსეულებმა და მატერიალურ სიმდიდრეს დახარბებულმა საზოგადოების ნაწილმა მოახერხა გაერთიანება და ხელში ჩაიგდო ძალაუფლება; ამიტომ საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი, ქართველი საზოგადოების „ჯანსაღ“ ნაწილთან ერთად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გადაიხვეწა, მათგან ბევრი იქ დაოჯახდა და იქ „იღვწის ფიზიკური გადარჩენისათვის“. საზოგადოების დარჩენილი ნაწილი, ბევრად ნაკლები პოტენციალის მქონე, ხელისუფლებაში მოსულ მგლებს შერჩა საჯიჯგანად და სულს დაფავს.

ბუნებრივია, ასეთი ხელისუფლება ათასი ჯურის გადამთვლისათვის საექსპერიმენტო პოლიგონად ქცეულ საქართველოში ვერ იბრუნებს საზოგადოების ზნეობრივი და სულიერი ამაღლებისათვის, პირიქით, ორიენტირებულია საზოგადოების და, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის სულიერი დეგრადაციისაკენ; შედეგად, უმოწყალოდ და მიზანმიმართულად მახინჯდება ეროვნული სული, რაც ჩვენი ერის ჭეშმარიტი ისტორიის გაყალბებით დაიწყო და ამ სიყალბეების თავგადაკლული დაცვით გრძელდება.

ერთხელ კიდევ, ამიტომ ვუბრუნდები ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრებას“.

ზოგიერთი, თითქოს, დღევანდელი მდგომარეობით შეწუხებული „ქართველი“ (შეიძლება, ისინი ქართული გვარის მატარებელი არმენები, ანუ არმენოფილი „ქართველები“ არიან, რომლებიც თურმე 77% ყოფილა თბილისში, იხ. ვახუთი „ერთობა“, №4, თბილისი, 2003წ.) მედავება, რომ ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული სომეხი მეფის შთამომავლები (არშაკუნიები) – ეროვნებით იბერიული მოდგმისანი იყვნენო. მაგრამ „ლეონტი მროველი“ ჰაიაკებს იბერიული მოდგმისად და ქართველთა თანატოლად კი არ თვლის, არამედ ქართველთა მამათავრად და ქართლოსიანთა ენა სომხური იყო.

წევნების და, საერთოდ, იბერთათვის კარგადაა ცნობილი ვინ იყვნენ (იბერ(თ)იძენი პელაგზები და ვინ იყვნენ გრეკები, რომლებიც თავიანთ თავს ელინებს ეძახიან და არა ბერძნებს. ასევე, კარგად ვიცით, ვინ იყვნენ სომე(ს)ხი(ლი) (სომეხ შობილი) იბერები და ვინ არიან სომეხი – მიგრირებული არმენები, მაგრამ, შეუძლებელია, „ქართლის ცხოვრების“ ავტორსაც არ ჰქონდოდა განსხვავება ისტორიულ სომეხსა და ვაიქართველებისგან სომხად წოდებულ არმენებს შორის, რომლებმაც არმენთა მეფის – ტიგრან II დროს იბერიას წაართვა მისი სამფლობელო ტერიტორიის გარკვეული ნაწილი, მაგრამ ნახევარი საუკუნის განმავლობაშიც ვერ შეინარჩუნა.

იბერთა და სომეხთა ომი და, საერთოდ, იბერია „ქართლის ცხოვრებაში“ ნახსენები არ არის. ე.ი. „სომეხები“ იბერებს ებრძოდნენ, თორემ, ქართველები და „სომეხები“, თურმე, კეთილმეზობლურად და მეგობრულად ცხოვრობდნენ. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, დაახლოებით, ამ დროიდან მეფობენ არშაკუნიანები.

სომეხი უფლისწულის გამეფება ქართლში „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, თურმე, ასე მოხდა: ქართველთა მეფემ, დავით ფარნავაზიანმა, ხოლო მამით ნებროთიანმა სპარსმა – ფარნაქომმა „... შეიყვარა სჯული სპარსთა, ცეცხლის

– მსახურება, მოიყვანა სპარსეთით ცეცხლისმსახური და მოგუნი და დასხნა ივინი მცხეთას, ადგილსა მას, რომელსა აწ ჰქვან მოგუთა, და იწყო ცხადად გმობად კერპთა. ამისთვის მოიძულეს იგი მეცდრთა ქართლისათა, რამეთუ დიდი სასოება აქუნდა კერპთა მიმართ. მაშინ შეითქუნეს ერისთავნი ქართლისანი უმრავლესნი, და წარავლინეს მოციქული წინაშე სომეხთა მეფისა (სახელი მოხსენიებული არ არის, კ.ფ.) და რქუეს: „მეფე ჩვენი გარდახდა სჯულსა მამათა ჩვენთასა, არღარა მსახურებს ღმერთთა მკურთხელთა ქართლისათა, შემოიღო სჯული მამული და დაუტევა სჯული დედული. აწ არღარა ღირს იგი მეფედ ჩვენდა. მოგუც ძე შენი არშაკ, რომელსა უზის ცოლად ნათესავი ფარნავაზიანთა, მეფეთა ჩვენთა. გუაშუელე ძალი შენი, და ვაოტოთ ფარნაქომ, შემომღებელი ახლისა სჯულისა, და იფოს მეფედ ძე შენი არშაკ და დედოფლად ჩუენდა ცოლი მისი, შვილი მეფეთა ჩვენთა“.

მაშინ სონდა სომეხთა მეფესა განზრახვა ესე. ვაგზავნა მოციქული მათი პასუხითა კეთილითა და რქუა მათ: „უკეთუ ჭეშმარიტად უბიწოთა გულისთა გნებავსთ მეფედ თქუნდა ძე ჩემი, თქუენ ყოველთა ერისთავთა მომეცით მე მქევალი, და მოგცე ძე ჩემი მეფედ თქუნდა, და ყოველითავე ნიჭითა აღგავსნე“ (ხაზი ჩემია, კ.ფ.).

მაშინ ერისთავთა ქართლისათა უმრავლესთა მისცეს მქეველები და განაცხადეს განდგომა ფარნაქომისი. მაშინ სომეხთა მეფე ყოვლითა ძალითა მისითა წარმოემართა ქართლს. ხოლო ფარნაქომ მეფემან მოუწოდა სპარსთა და მოიყვანა სპარსნი ძლიერნი და რომელნიმე დარჩომოდეს შემოკრება ქართულენიცა. ხოლო ერისთავნი ქართლისანი განდგომილნი მიეგებეს სომეხთა მეფესა ტაშირს, და მუნ შეკრბა სიმრავლე სომეხთა და ქართველთა. ხოლო ფარნაქომ მიეგება მუხე ტაშირს.

იქმნა მათ შორის ბრძოლა ძლიერი, მოსწყდა ორგნითვე ურცვ, რამეთუ იძლია ფარნაქომ სომეხთა და ქართველთაგან. და მოიკლა ფარნაქომ და მოსრეს სპა მისი. ხოლო ძე ფარნაქომისი მირვან, წლისა ერთისა ყრმა, წარიყვანა მამამშემკმან მისმან, და იღტვოდა სპარსეთს. ხოლო მეფემან მოსცა ძე თუხი არშაკ“ („ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტომი I, თბ. 1955, გვ.29-30).

გონიერი მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ „ქართლის ცხოვრების“ ავტორმა კარგად იცის ქართველი ერის წარსული და სხვადასხვა ხანაში ორი სხვადასხვა ენოვანი სომეხის არსებობა: პირველი, სომეხი, რომელიც ეროვნებით იბერი იყო და სალიტერატურო ენა იბერიული ჰქონდა (შეიძლება, მათს რეგიონალურ მეტყველებაში იბერიულიდან მხოლოდ კილოკაჟური ან, უარეს შემთხვევაში დიალექტური განსხვავება ყოფილიყო) არმენთა კავკასიაში მიგრაციამდე, შემდეგ კი არმენებში გაითქვიფა; და მეორე, სომეხი, რომელიც თავიანთ თავს ჰაიაკს უწოდებს, სხვები კი არმენს. ჰაიაკები მიგრირებული იყვნენ სომეხს (დღევანდელი სომხეთის) ტერიტორიაზე, რომლებშიც გაითქვიფნენ აბორიგენი – სომეხად წოდებული იბერები და, რომლის გამო, შედეგის გაუზრებლად (მგავსი გაუზრებლობა მხოლოდ ერთი არ გვგვრის ქართველებს), მათაც სომეხი უწოდეს და დღემდე ასე ვუწოდებთ მათ მხოლოდ ქართველები.

გონიერი მკითხველი აუცილებლად მიხვდება, რომ „ქართლის ცხოვრების“, კერძოდ, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს ავტორი, ლეონტი მროველი იყო იგი, თუ არმენაკ არამიანცი, ის „სომე(ს)ხი(ლი)“ ჰაიაკია, რომელმაც კარგად იცის, რომ აფხაზეთად წოდებული იბერიული სახელმწიფოს მეფემ – თეოდოს II აფხაზეთის მეფედ აკურთხა თავისი დისშვილი, ქართლის უფლისწული – ბაგრატ III ბაგრატიონი და ამით მიეცა ქართველს აღზევების საშუალება (თუ იბერთა და ქვეყნდებარებაში დაჩაგრულად გძნობდნენ თავს), მაგრამ, რომ

გაექაჩვლებინა თეოდოს II მიერ გადაღებული ბრძნული პოლიტიკური ნაბიჯი (დაშლილი იბერიის დინასტიური გზით გაერთიანება), რომ არმენთა სასარგებლოდ გამოეყენებინა „დაშეზღუდილი შეცდომა“ და შემკვიდრეთა ცნობიერებაში წაეშალა იბერიის ოდესდაც არსებობა, ეს ისტორიული სინამდვილე ახ. წ. აღ-ის 978 წლიდან ფარნავაზის ხანაში გადაიტანა, ფარნავაზი ქართლის მეფედ დააფიქსირა (ისედაც, იბერიის მეფე ქართლის მეფეც იყო), იბერიული სახელმწიფო ეგვის - აფხაზეთი არარსებული ქუჯის ხელით ფარნავაზს ჩააბარა და იბერთა როლში სომეხი ერი ჩააყენა: „აქამომდის (ძვ. წ. აღ-ის VI საუკუნემდე, ხაზი ჩემია, კ.ფ.) ქართლოსიანთა ენა სომხური იყო“ (როცა ქართველთა სალიტერატურო ენა, უეჭველია, არა ძვ. წ. აღ-ის VI საუკუნემდე, არამედ ახ.წ. აღ-ის 523 წლამდე იბერიული იყო); „კავკასიის ნახევარი ჰაოსის მისცათ (მოგონილმა, კ.ფ.) თარგამოსმა“ (როცა კავკასია, ნახევარი კი არა, მთლიანად იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხს ეკუთვნოდა ძვ. წ. აღ-ის IV თუ II საუკუნემდე და ნახევარი დღესაც ეკუთვნის); ქართველთა მეფენი არმენ არშაკუნიანებად წარმოადგინა და ეს სიცრუე, რომ გამართლებინა ქართველებს მამასახლისზე უფრო დიდი თანამდებობის პირი არ ჰყავდათო, – დააფიქსირა.

„ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს ავტორი იმ „სომე(ს)ხი(ლითა)“ წარმომადგენელია, რომელთა წინაპრმა ვერაულოდ მოსინჯა იბერებთან ფიზიკური ძალა ტიგრან II მეთაურობით, მაგრამ, რადგანაც იმ დროინდელი წარმატება ხანმოკლე აღმოჩნდა, საერთოდ არ ახსენა ეს ისტორიული სინამდვილე; ან შეიძლება, არ ახსენა იმ აზრით, რომ ეს იყო იბერთან ომი, თორემ, ქართველთა „კეთილგანწყობილი“ იყო ყოველთვის და „ყველაფრისმქონე“ არაფერს „იშურებდა“ ქართველებისათვის, უფლისწულსაც კი, რომ „ყოველითავე ნიჭით აღვესო“ ქართველთა; შემდგომ, თავიდანვე „ყოველითა ნიჭით აღვილმა“ შეჰაიაკებმა ქრისტიანობა შემოიტანეს და განათლეს ქართველთა; შეგვიქმნეს საკუთარზე უკეთესი, მსოფლიოში ყველაზე დრმა შინაარსის მქონე, დახვეწილი და უღამახესი დამწერლობა, აღიარებული თვითმყოფადი კულტურა და ხელოვნება, არქიტექტურა, შედევრები სიმღერასა და ცეკვაში, მოგვცეს შოთა რუსთაველი და მისი „ყვეფხისტყაოსანი“, „კვამთა დადადის“ ავტორი ილია ჭავჭავაძე და სხვა უნიჭიერესი მამულიშვილნი, ე.ი., ერთი ანგელოტისა არ იყოს, ყველაფერი საუკეთესო ქართველებს უბოძეს, ლამის მამაკაცური სასქესო ორგანოც კი, რომელიც, თურმე, ორ-ორი ჰქონდათ არმენებს, ხოლო ქართველებს, ერთიც არა, თითო საუკეთესო ქართველებს დაუთმეს. უკანასკნელი – ანგელოტია, მაგრამ ფაქტია რომ, მას შემდეგ, რაც ჰაიაკებმა „ყოველითა ნიჭით აღავსეს“ ქართველთა, მთელ მსოფლიოს მოსდეს სომხური კულტურის „უპირატესობა“ ქართულ კულტურაზე. ამიტომ უმტკიცებდა თავაზოდებთ ქართველებს ერთი გერმანელი ორიენტალისტი ბერლინში, „დაბადების“ სომხურად თარგმნის 1500 წლის აღსანიშნავად გამართულ დღესასწაულზე და თვალის ბრიალით უთქვამს: „ქართული კულტურა სომხურის განაღდება“ (მ. წერეთელი, ერი და კაცობრიობა, თბ. 1990, გვ. 245.).

ამიტომ არის „ლეონტი მროველის“ „ქართლის ცხოვრება“ ახვერდიანი – ახვერდოვებისათვის ეროვნული საუნჯე, ხოლო ქართველებისათვის ცინიზმის ზეობის მწვერვალი.

ასე რომ, ქართველი ერის ისტორია ხელახლა დასაწყობდა და დასაწყობდა არა ყალბი ისტორია არმენთა მიბაძვით, არამედ ისეთი, როგორც დიდი ივანე ჯავახიშვილი თავიდანვე იღვწოდა.
კუპური შიფია, ფახისის აკადემიის ნამდვილი წევრი

ამერიკული გამოცემა დიპლომატიის შურდობის შესახებ

(ანუ, ვისაც როგორ ხელეწიფება, ისე ჭურდობს)

გამოცემა „ნიუ იორკ პოსტი“ ექსკლუზიურ მასალას აქვეყნებს საქართველოს მოქალაქე ოლეგ შარიფოვის შესახებ, რომელმაც დიპლომატიური იმუნიტეტი გამოიყენა, რათა თავი აერიდებინა გამოძიებისთვის, მას შემდეგ, რაც ასობით დოლარის ღირებულების საქონელი მოიპარა მაღაზიდან – „XXI საუკუნე“. ინფორმაციას გამოცემა პოლიციის წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს, რომლის მიხედვითაც, 33 წლის ოლეგ შარიფოვი მაღაზიაში 35 დოლარის ღირებულების საქონელზე ფასი 11 დოლარით შეცვალა და ნაკლები გადაიხდა. მას თვალს მაღაზიის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი ადევნებდა, რომელმაც მოგვიანებით შარიფოვი დააკავა. ჩანთაში „დიპლომატს“ კიდევ აღმოუჩინეს მოპარული საქონელი, რომლის საერთო ღირებულება თითქმის 444 დოლარი იყო.

„მაღაზიის ადმინისტრაცია პოლიციას დაუკავშირდა, რომელმაც აღმოაჩინა, რომ შარიფოვი ქალაქში იმყოფებოდა საქართველოს ოფიციალურ დელეგაციასთან ერთად, რომელშიც შედიოდა ქვეყნის პრეზიდენტიც. – განუცხადა წყარომ პოლიციელად „ნიუ იორკ პოსტს“. – ასე რომ, იმის მიუხედავად, რომ შარიფოვი ტექნიკურად არ არის დიპლომატი, მას ადმოაჩინდა სრული დიპლომატიური იმუნიტეტი“.

მის გამოსახობით აშშ-ს პოლიციამ აღარ დააპატიმრა შარიფოვი. გამოცემის ცნობით, ვაშინგტონში საქართველოს საელჩოს განცხადებით, შარიფოვი საქართველოს მოქალაქეა და საქმესთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს. ამ თემასთან მიმართებაში კომენტარს არ აკეთებენ არც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, არც საგარეო საქმეთა სამინისტროში.

ასეა, საქართველოდან გინდა თათარს უქურდია და გინდა სომეხს, ყველა ცოდავს, ბოლოს, მაინც ქართველებს აგვიდებენ ხოლმე, თქვე დალოცვიდებოდ, თუ ჭურდობაა, ნაციონალიზმი საქართველოში მაინც იქურდეთ, რათა საერთაშორისო არენაზე არ შეგვარცხვინოთ ისედაც თავს ლაფდასხმული ქართველები!

დოდოს რქის ეკლესიის დაზიანების ფაქტს სპეციალური კომისია შეისწავლის

დავითგარეჯას სამონასტრო კომპლექსში შემაჯავლი დოდოს რქის ეკლესიისა და იქ არსებული საუკუნოვანი ფრესკების დაზიანების ფაქტს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სპეციალური კომისია შეისწავლის. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს სააგენტოში განუცხადეს, კომისია ამ საკითხის შესწავლას უახლოეს დღეებში დაიწყებს.

ეკლესიის დაზიანების ფაქტის შესწავლას გეგმავს საქართველოს საპატრიარქოც. სურთ-მოდებების ცენტრის ხელმძღვანელი, ალავერდის ეპარქიის მიტროპოლიტი დავითი აცხადებს, რომ საპატრიარქოს სპეციალისტები დავითგარეჯაში რამდენიმე დღეში ჩავლენ. „სანამ არ ენახავ ადგილზე, რა ხდება, მანამდე სხვას ვერაფერს გეტყვით“, – აღნიშნა მიტროპოლიტმა.

ცნობისათვის: კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ნიკა ვაჩიშვილმა 8 მარტს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში განაცხადა, რომ დავითგარეჯას სამონასტრო კომპლექსში მოღვაწე სასულიერო პირებს პროკურატურაში უნიჭიერებს. ვაჩიშვილის თქმით, უნებართვო გაწმენდითი სამუშაოების შედეგად კლდეში ნაკვეთი დოდოს რქის ეკლესია ისე დაზიანდა, რომ კედლებზე მოხატული საუკუნოვანი ფრესკების აღდგენა ვეღარ მოხერხდება.

დოდოს რქა ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლია დავითგარეჯას სამონასტრო კომპლექსში, რომელიც VI საუკუნის I ნახევარში დააარსა დავით გარეჯელის ერთ-ერთმა მოწაფე დოდომ.



ქართველური ბებრ-სახელ-სიმღერები და მუშა-იმბოვიანი ღებრითა სახელ-ები

(გაგრძელება. დასაწყისი – "იღობი" № 110)

ასეთი საბუთიერი მტკიცებულებების შემდეგ ურწმუნო თომამაც უნდა ირწმუნოს, რა მზე ღებრთის კოლხურობა. აქვე ვაცხადებთ: ძველი კოლხეთის სიდიადის მანველებელი, საკვირველება კი არა, თმის ყალბზე დამყენებელი ზესაოცრება ისაა, რომ მსოფლიო ცივილიზაციის პიონერებად თვლილი შუმერული ცივილიზაციის დამაარსებლების, თავად ლეგენდარული შუმერების მზე-ღებრთის სახელიც კოლხურია.

ეს რომ დაგამტკიცოთ, კვლავ უნდა დაგდგეთ ახალი ამოცანის წინაშე: ათასწლეულების წინ განისაზღვრებოდა თუ არა მზე-ს მნიშვნელობა სხვა ხმაბაძებით ფორმით? რომელი ბგერა მზის ცნების განმსაზღვრელი მებრულ ბშა სიტყვაში? ვლ. ალფინიძემ ახლებურად, მაღალ დონეზე დასვა კოლხმცოდნეობის საკითხი, წარმოაჩინა შუმერული, ეგვიპტური, ბერძნული, ლათინური და სხვა უძველეს ხალხთა ცივილიზაციებთან კოლხურის კავშირების მადანსტურებელი საარაკო ენობრივ პარალელთა და მითოლოგიური თუ სხვა სახის ფაქტობრივი მახალა.

ეს გრანდიოზული მნიშვნელობის აღმოჩენები, უწინარეს ყოვლისა, ჩვენს "გეოგრაფიულ თეორიას" – პირველი სამეტყველო მინიშუმის სწორედ სუბტროპიკულ, ნაკეტულ კოლხეთის რეგიონში წარმოქმნის, ანუ გააღამიანების პრეისტორიულ კოლხეთში დაწყებისა და, მათთანადამ, ყველა ცივილიზაციას, მათ შორის პროშუმერული საწყისის კოლხურობაზე საკითხის დასმას ექსპაგება.

მიუხედავად იშვიათ ფაქტებზე ჩვენეული განსხვავებული ხედვისა, მაგრამ რაკი ბატონ, აწ განსვენებულ ვლ. ალფინიძის დასკვნები უმეტესწილად აქსიომატურიია, ოღონდ სახი უნდა გაეგვას: მისთვის დამახასიათებელი ვირტუოზული მიგნება – ინტერპრეტაციის შემდეგ, მით უფრო ამისათვის, მადლობას ვუხედი გენიალურ მკვლევარსა და შემოქმედს ასეთი თანადგომისათვის.

მებრული სიტყვა ბშა – მზეცაა და რძეც. ვლ. ალფინიძე გვამცნობს: ეგვიპტურში მზეს შობს ძროხა, ხოლო ლათინურში ვარსკვლავთა კრებულს გალაქტიკა ეწოდება. ამ სიტყვაში ღბა რძეც; რუსულ-

შიც არის "მღმნი პშტ", რაც რძის გზას ნიშნავს.

რძისა და ციურ სხეულთა დაკავშირების ასეთ მაგალითებს ავტორი თვლის, "ფარული ტექსტის სახით მითოლოგიურ თანხვედრებად". ოღონდ აუხსენელია, მიზეზი ასეთი დაკავშირებისა და, რა თქმა უნდა, ტექსტის შინაარსიც, რომლებიც სხვა უამრავ კითხვებს ბადებს (იხ. ვლ. ალფინიძე, "რჩეული თხზულებანი", გვ. 92):

რატომ ეწოდება მზეს და რძეს ერთი და იგივე სახელი ბშა? ვაპასუხო: ეს ჩვენეი წინაპრების ბუნდოვანი და მითოლოგიური კი არა, სრულად რეალური, უაღრესად მაღალი რანგის ზუსტი ლოგიკური აზროვნების ნაყოფია: ადამიანის სიცოცხლე წარმოუდგენელია დედის რძის გარეშე, მაგრამ იგივე თქმის მზეზეც: მზის გარეშე სიცოცხლე საერთოდ შეუძლებელია: მზე და რძე სიცოცხლის აუცილებელი პირობაა, ამიტომ ეწოდებათ მათ ერთი სახელი – ბშა.

უპირველესად რომელ მათგანს დაერქვა სახელი: მზეს თუ რძეს? ან იქნებ ორივეს ერთდროულად? – პირველად წარმოიქმნა რძის სახელი. ისტორიულ მეცნიერებაში დადგენილია, რომ ციურ სხეულთა სახელებები შემდგომი მოვლენაა: "ადამიანმა მაღლა გვიან აიხედა".

რატომ დაერქვა მათ მინცადამინც – ბშა და არა, ვთქვათ, აგური ან სხვა რამ? რითაა გამოწვეული ბგერათა სწორედ ამდგვარი ბ-შა შეთანხმება?

პასუხი მოითხოვს "გეოგრაფიული თეორიის" დედააზრის მოხსენიებას: პირველი სამეტყველო პირობითი რეფლექსების წარმოქმნა ხდება ბუნებაში არსებული ხმებით ადამიანის შესაბამის მგრძობილობით ორგანოებზე ზემოქმედების შედეგად.

ჩემს მიერაა აღმოჩენილი ბგერა შ-ს მნიშვნელობა, იგივე სიტყვა შ-ს, რაც დღესაც წყალს ნიშნავს. წყალი, მდინარე მრავალგვარ ხმაურს მოიცავს. ვისაც მდინარის ახლოს უცხოვრია, დამემოწმება, თუ რა შთანხმებდავია შ ბგერით გამოხატული მდინარის შიშინი, მებრულად – შირშინი, (რუსულად – შურშანი), განსაკუთრებით წვიმის წინარედ.

ესმოლა რა, მდინარის შ ბგერისმავარი ხმაური. ერთ მშვენიერ დღეს, ადამიანმა ეს ბგერა წარმოთქვა და ის მდინარის და

ზოგადად წყლის აღმნიშვნელი გახდა. განა აქ რამე არარეალურთან გვაქვს საქმე? ამაღგვარი მტკიცებულებები იმდენად თეორიული არაა, რამდენად ფაქტობრივი; შ დღესაც წყალს ნიშნავს. ეს ფაქტია; მდინარე, ფაქტია, შიშინებს და ეს დღესაც გვესმის; მდინარის ხმაურის (შიშინის) გამომხატველი სიტყვები, ფაქტობრივად, შ ბგერის გამეორებითაა მიღებული: ერთ დროს წყალს უმკველად დაერქვა შ, იგივე შა.

წყალი მზე და რძე თვისობრივად მსგავსანი არიან: სამივე სიცოცხლის აუცილებელი წინაპირობაა, ამიტომ, წყლის სახელი შა ჯერ გავრცელდა რძე-ზე და მერე – მზა-ზეც. აი, ასეთია აზრობრივი კავშირები მზესა და რძეს შორის, რომელთა გაგონა სხვა ენებსაც შეეხება.

მებრულში, უხშირესად, შ შეიცვლება შ ბგერად. ამგვარად მივიღებ შა-დან შა, რომელიც მზისა და რძის მოფერებით სახელებში ახლაცა გვაქვს. ესენია: შა, შაშუ, შაშანი.

შა-დან ბ ბავსიმირის დართვით წარმოიქმნა მებრულში ბშა და მერე ბშა, ხოლო შ-ს მერთებით მშა, – წინაფორმა ქართული მზა-მზს-ია.

ამგვარად, არამც თუ ვუპასუხეთ ზემოთდასმულ უძიძეს კითხვებს, არამედ გაგაკეთეთ წარმოუდგენელი რამ: მოვიყვანეთ უთვალსაზიროესი მაგალითი ადამიანის პირველი ამეტყველებისა. იმდენად უთვალსაზიროესი, რომ თვით ურწმუნო თომამაც უნდა ირწმუნოს, თუნდაც ის ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან იყოს და, კიდევაც, ამის არავითარი სურვილი გააჩნდეს.

თუ ვიგულისხმებთ, რომ შა მზეცა, მაშინ შა-ში მებრულად იგივეა, რაც მზისა – ქართულში. შაში ქალის სახელია. საერთოდ, ქართველურში, მზესთან დაკავშირებული გერ-სახელები უხშირესია, მაც: მზისა, მზია, მზისდადარი; გვარები დო-ბუანიძე, ბუ-ლადა, უმნიშვნელოვანესია შამათა, რადგან შამაში შუმერების მზე-ღებრითა. იგი კოლხურია და ამას უმკველს ხდის, გარდა ზემოთქმულისა, სიმღერა შუმარერა, იგივე შამაში-ერა.

სმირ შემთხვევაში, აფხაზური, როგორც ეს წინა წერილებში ვნახეთ, ასევე სხანური სიმღერები (უფრო სწორად, მისამღერად თვლილი მათი ტექსტები) კოლხურ-

მებრული ენით იხსნება, რომ უწინ სხანები და აფხაზები თავად იყვნენ კოლხები და, ბუნებრივია, ერთ დროს, კოლხურ ენაზე მეტყველებდნენ. და ამის ცხადყოფად ეს სიმღერებიც კმარა. მაგალითად, სხანური სიმღერა: შინაი, ვო, რგილი, ვო, რგილი, ვოისა, ვო, შინა, ვო გგგმ ტექსტია სიმღერისა

და არა მისამღერად თვლილი სიტყვების უაზრო გროვა, მაგრამ დღევანდელი სხანურით არაფრის მთქმელია. მებრულად კი, ნახეთ როგორ აიხსნება: შინაი ანუ შინა – სხენებაა, ვო – მებრული შორისდებულება, რგილი – ნერგია, ვო-სა, იგივე ვო-სი ანუ ო, შენ – მიმართებაა, შინა ვო-გგგმ კი სხენება ო-გგგმ-ს ნიშნავს.

ენათმეცნიერებაში დამტკიცებულია რომ მებრულად წმინდა გიორგის მრავალი სახელი გააჩნია. მაგალითად: გიორგი, გგგმ გერგა-ჯგგგმ-ჯგგმ-ს ეს სახელები ბგერით აგებულებით (ფორმით) მცირედ განსხვავდებიან, მაგრამ შინაარსი ერთი აქვთ: ყველანი წმინდა გიორგის აღნიშნავენ.

როგორც ერთი ჯიშის, მაგრამ სხვადასხვა შეფერილობის ლობიოს მარცვლებს – ბიოლოგიაში, ამგვარადვე ერთგვაროვან, ბგერით აგებულებით მცირედ განსხვავებულ ტერმინებს ენათმეცნიერებაში ალომორფები ეწოდებათ. მოხსენებული წმინდა გიორგის სახელები ალომორფები ყოფილან. ამგვარადვე მზეს შ ბგერიდან ამოსული, მაგრამ მეცნიერებისათვის დღემდე მიუკვლეველი უამრავი სახელ-ალომორფი გააჩნია. ესენია შ, შა, შაშა, შორ, შურ, სორ, სოლ, სარ, სალ და ა.შ. ესენი განუწყვეტლივ დასტურდებიან კავკასიურ თუ უნდოვერობულ ენებში. მაგალითად, ოდინდელი მზის სახელი შორ ინდოევროპული მზის აღმნიშვნელი რუსული შარ-ის სახით, რაც მრგვალ, ბურთისმავარ სხეულს ნიშნავს. ამავე ალომორფიდანაა ქართველური შარა, ოღონდ თუ აქ მნიშვნელობა ცვლილი ფორმის შეცვლის შემთხვევაში (რ თუ ნ გახდა), მაშინ მივიღებთ აბსტრაქტულ სიტყვა ნი-შან-ს.

ემემი იზორია, ზუგდიდი (გაგრძელება იქნება)

ზოგიერთი დაწერილობითი ცნობა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშიდან

საქართველო, რომლის ნარკოკონტროლის სისტემას „რეფორმები ესაჭიროება“, ნარკოტრანზიტის „მთავარი დერეფანი“ ხდება, – ნათქვამია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშში, რომელიც 3 მარტს გამოქვეყნდა და რის შესახებაც საქინფორმმა მოკლედ უკვე აცნობა თავის მკითხველებს.

ანგარიშში "ნარკოტიკების საერთაშორისო კონტროლის სტრატეგიის შესახებ" ნათქვამია, რომ ნარკოტრანზიტის ერთ-ერთი მთავარი მარშრუტი ავღანეთიდან და ირანიდან მოდის აზერბაიჯანის გავლით ევროპისა და რუსეთისკენ; ნარკოტიკების ტრანზიტი ასევე ხორციელდება საქართველოს გავლით, საბერძნეთიდან და თურქეთიდან დასავლეთ ევროპისკენ.

ანგარიშის თანახმად, საქართველოს გავლით ნარკოტიკების კონტრაბანდის ერთ-ერთ მთავარ საშუალებებად მიჩნეულია სატვირთო მანქანები. რომლებიც გრძელ, სატრანზიტო რეისებს სრულდებენ.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ ევროპული ქვეყნების სამართალდამცველებმა 2009 წლის განმავლობაში იმ სატვირთო მანქანებიდან, რომლებმაც ერთხელ მაინც გაიარეს საქართველოს ტერიტორია, ამოიღეს შვიდიდან რვა ტონამდე ნარკოტიკული ნივთიერება.

ანგარიშის თანახმად ევროპაზე გათვლილი ზოგიერთი მექანიზმი ხელს უშლის საქართველოში ნარკოტიკების ტრანზიტზე კონტროლს, მათ შორის ის წესი, რომლის მიხედვითაც მეტაჟებს სატრანზიტო სატვირთო მანქანების შემოწმება შეუძლია მხოლოდ ტვირთის მესაპლართის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით, რაც ზღუდავს სატვირთო მანქანების შემოწმების შესაძლებლობას.

„წესები და რეგულაციები, რომლებიც უსარგებლოდ ზღუდავს ტვირთის შემოწმების ლეგიტიმურ აუცილებლობას, უნდა გადაიხედოს და შეიცვალოს,“ –

საქართველოს ნარკოკონტროლის სისტემას რეფორმა ესაჭიროება

ნათქვამია ანგარიშში. ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველოს მიერ 2010 წლის ნოემბერში ირანთან დადებულმა უფიზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმებამ შესაძლოა „საქართველოში უფრო მეტი ნარკოტიკის შემოდინება გამოიწვიოს“, თუ შესაფერისი კონტროლი არ განხორციელდება.

„ეს საკვებით სავარაუდოა, ვინაიდან ავღანური ნარკოტიკების, დაახლოებით, 40% ირანის გავლით გაედინება. ამ ნარკოტიკების კონტრაბანდა ახლა პრობლემას წარმოადგენს ირანის საზღვრის ყველა მიმართულებით სამხრეთისკენ, დასავლეთისკენ და ჩრდილოეთისკენ; ასე რომ, შემფოთების საფუძველი არსებობს, რომ ირანსა და საქართველოს შორის გამართებული მიმოსვლა შესაძლებლობას მისცემს გადაამზიდავებს „ახალი მარშრუტი“ მოსინჯონ“ – ნათქვამია ანგარიშში.

ანგარიშის თანახმად, გამოითქმის „ვარაუდები“, რომ ნარკოტიკები სეპარატისტული აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის გავლითაც მიედინება, თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ ამ ინფორმაციის დადსატურება შეუძლებელია, რადგანაც „რუსეთის საოკუპაციო ძალებს ან ამ ტერიტორიების დე ფაქტო მთავრობებს და საქართველოს მთავრობას შორის ნარკოტრანზიტზე ინფორმაციის გაცვლა ან მიგრება, ან საერთოდ არ ხდება“ (გაუგებარია - როგორ ხდება ნარკოტიკები აფხაზეთის ანდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე იმ ტერიტორიის გვერდის ავლით, რომელიც ხელსაუფლებით მთავრობებს საქართველოს ხელსაუფლებით მთავრობებს? მათი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ეს ფიზიკურად შეუძლებელია. ხოლო თუკი ეს ხდება – მაშასადამე, ამაში ოფიციალური თხილისი მონაწილეობა? რუსეთის სასაზღვრო პოსტებამდე ნარკოტიკების ტვირთმა ხომ საქართველოს პოსტები უნდა

გაიაროს – ნუთუ სწორედ ამას გულისხმობს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი? ამის უცოდინარობა მათ არ შეუძლიათ, რადგან ამის გასაგებად საკმარისია რუკას დახედო. ასევე რუკაზე დახედვით ხვდებით, რომ ნარკოტრანზიტი საქართველოდან, სოხუმსა და ცხინვალის გავლით, ევროპის ქვეყნებში ნაკლებ სავარაუდოა, სამაგიეროდ, შესაძლებელია რუსეთის ფედერაციაში – საინფორმაციო სააგენტო საქინფორმში).

საქართველოს მთავრობამ ნარკოტიკების პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლა პრიორიტეტად აქცია, თუმცა ამ საკითხზე მიმუშავებ სტრატეგიებს შორის „კოორდინაციის ნაკლებობა“ ამ მიზნის მიღწევას „ართულებს“, ნათქვამია ანგარიშში.

დოკუმენტის თანახმად, აშშ ცდილობს ხელი შეუწყოს ამ პრობლემის მოგვარებას, მათ შორის უწყებათშორისო სამუშაო ჯგუფის შექმნის წახალისებით. ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ საქართველოს ნარკოკონტროლის მთლიან სისტემას „რეფორმები ესაჭიროება“. ამ თვალსაზრისით პირველ და გადაუდებელ პრობლემას წარმოადგენს კონტრეტული ანტინარკოტიკული ეროვნული სამოქმედო გეგმის არარსებობა, ნათქვამია ანგარიშში.

საქართველომ ანტინარკოტიკული ეროვნული სტრატეგია 2007 წელს მიიღო, თუმცა, ანგარიშის თანახმად, მას აკლია დეტალური სამოქმედო გეგმა, თუ როგორ უნდა მოხდეს სტრატეგიის განხორციელება. „ნარკოტიკებთან დაკავშირებულ საკითხებში ჩართულ ინსტიტუტებს შორის კოორდინაცია ასევე პრობლემას წარმოადგენს,“ – ნათქვამია ანგარიშში, „ნარკოტიკების პრევენციის სისტემური ღონისძიებები არასაკმარისია; მკურნალობის მეთოდები ისე მუშავდება, რომ მცირე ან არაანაირი ყურადღება არ ეთმობა მკურნალობის შემდგომ სოციალურ რეაბილიტაციას. საშინო ნარკოტიკების

შესახებ ინფორმაცია - არასაკმარისი, ხოლო სტატისტიკური მონაცემები ნარკოტიკების მოხმარების თაობაზე შეზღუდული და არასაიმედოა. მოქმედი კანონმდებლობა არ აკმაყოფილებს ნარკოტიკების შესახებ გაეროს კონვენციების მოთხოვნებს.“

შსს-ის სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი (სოდ) და მასთან არსებული ანტინარკოტიკული დანაყოფი ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის მთავარ ორგანოს წარმოადგენს. ანგარიშში ნათქვამია, რომ 2010 წელს სოდ-ის ახალი ხელმძღვანელი დაინიშნა და მის ანტინარკოტიკულ დანაყოფში საკადრო ცვლილებები განხორციელდა „როგორც პრევენციული ღონისძიება ნარკოტიკებთან დაკავშირებული კორუფციის წინააღმდეგ“.

სოდ-ის ყოფილი ხელმძღვანელი ერეკლე კოდუა 2010 წლის აპრილში კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელად გადაიყვანეს, ხოლო კოდუას ადგილზე კრიმინალური პოლიციის უფროსი დევი ქელიძე დაინიშნა.

„რამე სერიოზული ბრალდებები იმასთან დაკავშირებით, რომ შსს-ს ახალი ანტინარკოტიკული დანაყოფი კორუფციულ საქმიანობაში ყოფილიყოს ჩართული, არ ყოფილა,“ – ნათქვამია ანგარიშში.

ანგარიში მოკლედ განიხილავს შესაბამის კანონმდებლობასაც. მოქმედი კანონმდებლობა დიფერენცირებულად არ უდგება სხვადასხვა ნარკოტიკულ დანაშაულს და ცალკეული ნარკოტიკული ნივთიერების ძალიან მცირე ოდენობის შენახვაც კი იწვევს სისხლის სამართლებრივ დევნას ნარკოტიკების გასაღების ბრალდებით. ანგარიშში ნათქვამია, რომ ასეთმა მიდგომამ გააჩინა მოწოდებები, რათა არსებული კანონმდებლობა შეიცვალოს, თუმცა საქართველოს პარლამენტმა 2008–2009 წლებში ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის განხილვა შეჩერებულია.



უშაფატი

იხნობ კი შინს კეთხის
- სამიბრილოს?

შეხვედრა ტყეში

(ნამდვილი ამბავი)

გუძღვნი ომში გამარჯვებულ დაღუპულ, სამშობლოს თავშეწირული უღამაზესი და უშაფატი მზებუბი და მარად-ჭაბუკი გმირ რაინდის ავთანდილ ანტონის ძე ხუბუას მარადისობას, უკვდავებას, უსასრულობას...

გუძღვნი დიდ სამამულო ომში გამარჯვებულ ნაომარს, ომსგადარჩენილი, მაგრამ ვერც სენს ვერ-გადარჩენილი ბიძაჩემის, უდიდესზე უდიდესი, უდიადესი ადამიანის, ბატონ ხუბა ანტონის ძე ხუბუას დიდებას.

გუძღვნი იმ დიდებულ გერმანელს, ყველაზე დიდ, გოგონაზე დიდ გერმანელს, რომელმაც ფაშისტურ გერმანიაშიც კი, პიტლერულ-პიტლერულ ესეს-შიც კი თავის თავში გადაიჩინა ადამიანი, გადარჩა და დარჩა ადამიანად და მერე რა, როგორ ადამიანად!

ხუბა ბიძია მთლად დარწმუნებული არ იყო იმ გერმანელის სახელისა და გვარის სწორად გაგებაში. არა უშავს, მე მას უფრო კარგ, უფრო დიდ სახელს დავარქმევდი: ყველაზე დიდ გერმანელს, ჩინ-მენდლები, ორდენები მკერდზე არ ეტეოდა ბიძაჩემს, მაგრამ ხუბა ბიძიას სულში, გულში მთელი საქართველო, მთელი მსოფლიო, მთელი სამყარო, დმერთი დაეტეოდა და ეტეოდა. მაშინვე - ამირან ანტონის ძე ხუბუა, მათი ნაბოლარა, უმცროსი ძმა უფროსი ძმის ხუბა ბიძიას სიკვდილს გადაჰყვა, მას დააკვდა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ძმის სიკვდილის შემდეგ მას ლოგინში არ გაუთევა ღამე. ძმის სიკვდილის შემდეგ ის ლოგინშიც არ წოლიდა, ძმის დიდხურათხაზუტებული მის საფლავზე ათენებდა თუნდაც ზამთრის ყინვიან ღამეებს. დიდ ხანს არ უცოცხდია მას ძმის შემდეგ.

ნაბოლარასთვის, ობლობაში გამოზრდილისთვის ძმა ძმაც იყო, ღვაც და მამაც. ისე კი, მე ასეთი სიყვარული, არავის არავისადმი, არც წამიკითხავს, არც გამიბოძა, არც მინახავს. ისეთი ადამიანი კი, როგორც დედანემი და მამანემი იყო, არც ცხოვრებაში, არც წიგნებში, არც კერანებზე არავის არ ყოფილა ნანახი, გაგებულნი, მოსმენილი, წაკითხული; ასეთი ადამიანური ადამიანები იყვნენ... იყვნენ და არიან.

გუძღვნი ასევე ჩემს ღვთიურ მშობლებს: თამა (მარკო) და ამირან ხუბუებს.

სასიკვდილო სარეცელზე მწოლი ავადმყოფის ავანიდან გამოძახილი: ვილი, ვილი, რად არ გე მომკალი! რად არ მომკალი... ვილი დრესლერი... ვილი...

უცნაური სიჩუმე ჩამოწვა, ქარიშხლისწინა, ქარიშხლის მომასწავებელი და მომლოდინე, ჩანუძღვნი ფრონტები ახლა არ ისმოდა ყუმბარტყვიების ზუზუნ-ერუხუნ. საბჭოთა არმია სამკედრო-სასიცილოდ ებრძოდა ჩვენს მიწაზე ჯერაც მძლავრი და ფართო ნაბიჯებით მომავალ მტერს - ფაშისტური გერმანიის არმადებს. წყურვილისგან პირდაპირ იწოდნენ ჩვენი მეომრები, მაგრამ წყარო, ან რამენაირი წყალი, არსად ჩანდა. მაინც შესვენება გამოცხადდა და ერთი ჩვენებური, ფრიად წარმოსადგევი, ახალგაზრდა კოლხი მეზრძოლი ტყეს შეერია წყაროს პონის

იმედით. წყაროს მიძებარს მალე გაუმართლა, არცთუ შორიდან წყარო მოჩანდა, საკმაოდ დიდი, მოსჩქეფდა კიდევ. ის-იყო მიუახლოვდა და ზურგზე ავტომატმოკიდებული უნდა დახრილიყო და წყალს დასწავებოდა, რომ წყაროს ზედა სამალავიდან ორმეტრიანმა ახმახმა გერმანელმა გამოჰყო თავი, ტანიც და მოდერებული, მომარჯვებული ავტომატიც. კოლხი მეზრძოლი არ დაიბნა, არც აღელდა, მშვიდად შეხედა მტერს, ისიც ფრიად წარმოსადგევი ახალგაზრდა იყო, ნაცისტი ესესელის ემბლემით და კოლხმაც წყაროზე მიანიშნა ექსტიკულირებით, ჯერ ამას დაველე და მერე შენი ავტომატი მესროლეო. ჩვენი მეზრძოლისეუ გასაოცრად, გერმანელმაც მშვიდად დაიქნია თავი და წყაროზე მიანიშნა, დალიეო, დალიეო. ჩვენებური წყალს მივარდა, დაეწავა. ყოველ წუთი წამს ელის გასროლას, რომელიც საშუალოდ წერტილს დაუსვამს ამ უკანასკნელს, ერთ აუწერელს სიამოვნებას და თვითონ მასაც. გასროლა რატომღაც იგვიანებს. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი მეზრძოლი, ჩვენი კოლხი მოწყდება წყალს და თავს მალდა სწევს, რად არ მესვრიო, ანიშნებს. დალიეო, კიდევ დალიეო, ის ანიშნებს. ჩვენებური წყალს უბრუნდება, თან ფიქრობს, რა, მის ხელში არა ვარ, როცა უნდა მაშინ მესვრის. მაცალა წყლის დაღვევა, ესეც კაცობაა ამათვან, მტრისგან. კიდევ ზეაიხედა კოლხმა. ის გერმანელი ისევე უყურებს, მშვიდად, არც ჩქარობს სროლას. ისევე დალიეო, ანიშნა. ისევე დალია კოლხმა წყალი. დარწმუნდა. ხომ მოვიკალ წყურვილი, აწი მშიშრობაა ძალით წყლის სმა, მან შესასრულა მისი პირობა, წყალი შემასვა, მაცალა წყლის სმა, აწი ჩემი ჯერია, ხომ ვუთხარი მერე მესროლეო-მეთქი. დაე მესროლოს, სიტყვა სიტყვაა, ფიქრობს გულში ჩვენებური. რომც ნდომდა, ავტომატის ზურგიდან ჩამოღებას ვერ მოასწრებდა, ისე მოცუდავდა გერმანელი ტყვიით. ან როგორ უნდა გაემეტებინა ეს გერმანელი, თუნდაც მტერი, რომელიც მას ახლა ასე არამტრულად მოექცა.

კვლავ, უკვე მესამეჯერ ზეაიხედა ჩვენმა კოლხმა, ისევე ისე დავს ის გერმანელი, ისევე დალიეო, ანიშნებს. არა, არ მინდაო, ეს აქედან ანიშნებს, მესროლეო, მესროლეო. გერმანელი მაინც არ ჩქარობს სროლას, არც პირი უგავს მსროლელს, არც რამე. უცებ მან შორიდან რაღაც ხმას მიავურადა და ჩვენს კოლხს შესახა გერმანულად: - ჩქარა, ჩქარა, მარშ, მარშ, გაიქცი!

ზურგიდან უნდა მომხვედროს, ზურგიდან ნასროლი ხომ გაქცევას, ლაჩრობას ნიშნავს. არადა, ჩვენს კოლხს ახლა ლაჩრული კი არა, ვაჟკაცური სიკვდილი მოუნდა. ამიტომაც, კვლავ ანიშნებს. ერთ აღვიდაც გაქვავებული დგას და ანიშნებს გერმანელს, რაღას უყურებ, მესროლეო. გერმანელი კი კიდევ უფრო მეტი გამწარებით იგივეს უმეორებს: - გაიქციე, მარშ, მარშ, ჩქარა, ჩქარა!

სხვა რა გზა იყო, ასე უნდა და ასე იყოს, გაიფიქრა კოლხმა, როგორც თვითონ უნდა, ისე მომკლას, დირსია დაეუთმო. რა პატივი მცა, მაინც ვკვდებოდი უწყლოდ, წყურვილით. მობრუნდა, მაგრამ არ გაქცეულა. ნელ-ნელი ნაბიჯებით

გაშორდა იქაურობას. უცებ მას კვლავ ესმის:

- მე ვილი მქვია, დაიმახსოვრე, მე ვილი მქვია, ჩქარა, ჩქარა, მარშ, მარშ, გაიქცი!

მხოლოდ ახლავა აუჩქარა ფეხს კოლხმა, თუმცა, ყოველ წუთს ელის ტყვიას ზურგში. არადა, ტყვია იგვიანებს. გერმანელი კი ისევე მოსძახის:

- ჩქარა, ჩქარა, მარშ, მარშ, გაიქცი!

ახლა კი მართლაც გაიქცა ჩვენი მეზრძოლი, უკვე მიხვდა, რომ მტყერი მას არ ესროდა, სროლა რომ სდომოდა, აქამდე გააკეთებდა ამას. მტერი, მტერი თუ კოქმოლა იმ გერმანელს, როგორც იქნა, თვალს მიეფარა და ამ დროს მოისმა:

- ყურადღება, ყურადღება, სერჯანტო ვილი დრესლერი, გადააბრე ცვლა!

კოლხთან "დამეგობრებული" გერმანელი საგუშაგო ვახტზე სხვამ შეცვალა. აი, თურმე რატომ ეჩქარებოდა ჩვენს ნაცნობ ვილის და რატომ აჩქარებდა ის ჩვენს კოლხს. საკუთარი სიცოცხლის გარისკვის ფასად მან ჩვენი მეზრძოლი გადაარჩინა. ეს შორეული 1943 წლის ამბავია. მთლით, ახლა, უფრო გვიანდელ დროში გადმოვიხატავ.

1987 წლის აგვისტო. ზუსტად 44 წელი გასულა იმ დღიდან, როცა ბიძაჩემი - ხუბა ანტონის ძე ხუბუა დაინდო მტერმა, გერმანელმა, ესესელმა ვილი დრესლერმა. სასიკვდილო სარეცელზე მწოლი ბიძაჩემის ბოლო სიტყვები სულ ეს იყო, სულ ამას იმეორებდა: რად არ მომკალი, რად არ მომკალი. ის იმ გერმანელს ხედავდა მის ბოლო ამქვეყნიურ ხილვებში, მას ებაახებოდა, სულიერად, სულსმიერად, სულთა კავშირით... არადა, ამოდ, ბიძაჩემი ძალიან დიდი ადამიანი იყო და ძალიან დიდი ცხოვრება განვლო იმ გერმანელის მეშვეობით, დამსახურებით. დიდებული ოჯახი დატოვა, დიდებული შთამომავლობა. თბილისის ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში ჩააბარა, მისმა ნიჭმა იმდენად აღაფრთოვანა მაშინდელი რექტორი, ლეგენდარული ნიკო კეცხოველი, რომ სრულიად ობოლი მიუსაფარი ნიჭიერი სტუდენტი თავის სახლში აცხოვრა, ღვიძლი შვილივით. დიდი წარმატებები, დიდი ცხოვრება ჰქონდა ბიძაჩემს ხუბას, მამაჩემის უფროს ძმას, შუათანა - ავთანდილი ფრონტზე დაიღუპა. მამაჩემი - ამირანი ნაბოლარა იყო. აქ ამას დავეჯერდეთ. აი, ეს ამბავიც. ისე ვინმეზე გულნატკენი თუ იყო, ხუბა ბიძია, მხოლოდ ამას იტყვოდა ხოლმე: მტერმა დამინდო, მთლად ჩემიანი კი არ მინდობსო. იგი უშაფათელი იყო და ეს მოთხრობაც ღვთიური მსოფლიო მოთხრობის "უშაფათის" ნაწილია და გაგრძელება...

უშაფათელი სტალინიან: ბენერალი ბაბელია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი, გენერალ-მაიორი ალექსანდრე (ძიკი) ალმასხანის ძე გაბელია სტალინის მიუსერას ავარაკის ეზოში შედის. სტალინის დაცვის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ვლასიკი მას ძალიან მეგობრულად ხვდება.

- **Где хозяин?** - ეკითხება ჩვენებური.

- **Прогуливает по саженцам,** - პასუხობს ვლასიკი. შემოდის დაცვის თანამშრომელი და სტუ-მარს მიმართავს:

- **Товарищ Сталин просит Вас.** - ჩვენებური მოკრძალებით უახლოვდება დიდ ბელადს და მიშორებით ჩერდება.

- ახლოს მოდით, ამხანაგო გაბელია, - უღმის მას სტალინი. სტუმარი მიეხვდა მას და სამხედრო პატაკის მიცემა დააპირა, მაგრამ მასპინძელმა შეაჩერა და უბრალოდ თქვა: - აბა, მომიყვი, რა ხდება აფხაზეთში! - გაბელიაც მოახსენებს. გზადაგზა გენერალისიძუნი სახელავეთ ხელში სხვადასხვა ხილნარს სხლავს: - ერთმა ატმის ხემ არ გაიხარა, - თავისთვის ჩაილაპარაკა, თითქოს ჩაიხურჩულიყო. მოხსენება დამთავრდა. - ახლა კი ერთად ვისაუბროთ, - გულუხვობს მასპინძელი. საუბარი სტალინთან საუბრეზეც გაგრძელდა. სტუმარი გენერალს წავიდა. გათუნდა. დიდი ბელადი გამოვიდა ავარაკის ეზოში და რას ხედავს: ორ დიდ და გრძელ მწკრივად ატმის ჯიშაინი ხეები ჩამწკრივებულიან. ვლასიკი გულიანად იღიმება. სტალინიმ უცებ ვერც გაოცება დამალა და ვერც დიმილი: - **Этот он, Габелия, да?** - ეკითხება ვლასიკს. - **Так точно, товари Сталин!** - პასუხობს ვლასიკი. თურმე სტალინის ავარაკიდან ჩვენი ძიკა პირდაპირ გორში წასულა, შეურჩევი ატმის საუკეთესო ჯიშის ხეები, მისივე მიწა-ნიადგითურთ ამოუხარია და ღამით, როცა დიდ ბელადს ეძინა, ვლასიკთან შეთანხმებით თავისი ხალხით იქ გადაურგავს, სტალინის მიუსერას ავარაკზე და თანაც ისე დაურგავს, რომ მათ გაიხარეს. მადლიერმა სტალინიმ გაბელია დააწინაურა, მაგრამ სტალინის მიუღწე ხრუშჩოვმა იგი პოლკოვნიკამდე დააქვეითა. შემდეგ კი საერთოდ უმუშევრად დატოვა. ბრეჟნევის პერიოდში გაბელიას თანაკურსელი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კოსიგინის ჩარევის შემდეგ გაბელიას გენერლობა აღუდგინეს, მაგრამ თანამდებობაზე არ (ვერ) აღადგინეს, რადგან ამ საკითხებს ასევე სტალინის მიუღწე სუსლოვი წვემბდა. ა.ა. გაბელია წარმოშობით უშაფათელი იყო. მოგვიანებით იგი იგონებდა: **"გვიგარ თვითმფრინავში მარტოლმარტო და სიფრინავ მისკოვში უშაფათელ სტალინის ძნ ბერისას გამოძახებო".** ყველაზე ხესაიდუმლო საქმეებს გაბელიას ავალბდნენ, რომელსაც უშაფათის ის სკოლა ჰქონდა დამთავრებული, რომელიც ამჟამად 121 წლისაა. ის 1890 წელსაა დაარსებული და ერთ-ერთი უძველესი სკოლაა მთელ საქართველოში.

ერთი დიდი ხუბუაა ნახსენები, ქაქუცა ჩოლოვაშვილის მარჯვენა ხელი და მისი სარდალი სამეგრელოში, ყველაზე ერთგული შეოცე ულთავანი, რომელმაც ბოლომდე იბრძოლა, მიუხედავად ქაქუცას თხოვნისა არ გაჰყვა სახლგარეეთ და აქ დასდო თავი - ჭუჭუ ხუბუა, რომელიც იმდენად უშიშარი მეომარი და ინტიერი სამხედრო მეთაური ყოფილა, რომ წითელი არმიის ნაწილებიც კი ვერ ბედავდნენ მასთან შეხებას. ყველანი თავს არიდებდნენ ამ **"პარტიზანთა მეფეს"**, რომელმაც სამშობლოსათვის ბრძოლაში შეაკლა თავი მტერს. საფრანგეთში ემიგრანტულ ცხოვრებას აქ სიკვდილი არჩია. ასევე უნდა შევაქო ახალგაზრდა ნიჭიერი უურნალისტი ჯაბა ხუბუა, რომელიც მისი დიდი წინაპრების შემართებით ებრძვის ყოველგვარ სიმამინჯესა და უსამართლობას!

გვლავ ისტორიას დაგვზრუნდეთ

თამარ-მეფის მემატიანე ერთგან ბრძანებს: **"და იქნა ბჭობა ცისა ზედაო"**, დასავლეთელ ერისთავებთან და ერისთავთერისთავებთან მეფეთმეფის მიერ აქ ბჭობაქმნილი. **"ცი"** მდინარე ცივია, რომელიც რატომღაც თარგმნეს, ადგილსახელთა თარგმნა კი ჯერ არ გაკონილა. ეს იგივეა, რომ ადამიანთა სახელი თარგმნო, თანაც დაზარებით თარგმნეს, სახელის ფუძეს **"ვი"** დაუმატეს და ქართული სიტყვა **"ცივი"** მიიღეს, ამ ცხელბობით მდინარის ახალ სახელად, სახელგვარად, ქართულისად, ამ მდინარისად... **"ცი"** ხომ ცაა და თანაც ცვენაა (**"დოცი"** - დაცვივდი). ე.ი. ცათაცვენაა და ეს ზეუმაღლესი, ზედეუმაღლი უხესახელი ასე და ამგვარად გაასაღვეს, გააუბრალოვეს, გაამარტივეს. ან რა, როგორი აღნაგები უნდა ყოფილიყო სოფელი უშაფათი, რომელსაც ეს მდინარე ჩამოედის და თავად ამ მდინარის, არც თუ ისე დიდის, სანაპირო სანახები, აქ რომ ბჭობად ერისთავთერისთავებსა და თვით იმდროინდელი მსოფლიოს უდიდეს მეფეთა მეფეთ მოესვლებოდა, მის მავალთმადალ აუდიენციას ესაკადრისებოდა, ესადაგისებოდა, მესაკადრისებოდა! ავაჰ-მე, ჩვენდა! ჩვენს ისტორიას და ჩვენს წარმოსაც, რამეთუ ისტორია ჩვენი, წარმულის დიდება არღა ვუწვიოთ და არცღა გვინდა, რომ ვუწვიოთ, ინისტორიისი, ისტორიის არხსომება-დავიწყება დავიმართეთ თვით, ჩვენდავე თავად...

იქნა ბჭობაო ცისა ზედაო, იქნა ბჭობაო ცისა ზედაო, იქნა თამარის ჟამთაღმწერელი,

დედამდინარე, დედათდედაო, შენი დიდება ლექსად ვწერე, ვთქვი... ყოფილხარ რა აღნაგები, რომ აქ თვით მეფეთმეფეს მოესვლებოდა, შენი დიდება მე ლექსად მომაქვს, დიდება ლექსად მომემგებოდა... ყოფილხარ დიდებული ესოდენ, ზეპურთა ზედა საბჭოდ-სამეფო, შენი დიდება სულ მსურს მესმოდეს, შენი დიდება სულ მსურს დამეფლოს, ცი ხარ, მდინარე, ხარ უშაფათი, სოფელი ხარ, ხარ მსოფლიო ჩემთვის, ჩემთვის ესაა ღვთის მისამართი, გაგრძელება მე-10 გვ.

იხლოვ კი ვინც კუთხის - სამეცნიერო? უსაფატი

მე-9 გვდან

ჩემთვის აქაა სამყაროც, ღმერთიც...
ღვთის მცნება სულს, გულს, გონს, გენს აქ ათი
მე აღმებუჭდა, ჩვენ აღგებუჭდა,
სარ უსაფატი, მწამს უსაფატი
მსოფლიოს, კაცობრიობის ბუჭდალ!
შურ დო გურიშ ფუნაფატი,
შურ დო გურიშ ნდღულაფატი,
შურ დო გურიშ დუნაბადი
შურ დო გურიშ დამუბადი,
სი რექ ჩქიმი უსაფატი,
სი რექ ჩქიმი უსაფატი,
გვადლო ართო უსაფატი,
უსაფატი, უსაფატი!
ცაქ დოცუ დო დოშაფათე,
ცა დოცენს დო დოშაფათე,
უსაფათის უსაფაფთს,
მთელ ქიანაშ უსაფათეფს...
იქმნა ბჭობაო ცისა ზედო,
ცისა ზედო იქმნა ბჭობაო...
ჩემო დარდო და ჩემო სეგდაო,
ჩემო განცდაო, ჩემო გრძობაო...
მექეცი ბუდად, მექეცი დედად,
მამად მექეცი, ფიქრად და აზრად...
და იქმნა ასე ყოველი ცის ზედა,
მიყვარხარ ძლიერ, ღრმად, ღრმად,
ღამაზად...

ღმერთმისტერია - ზემისტერია.
ასე რომ, აქ დგინდება ცისა და მიწის, დედამიწის და სამყაროს, სამყაროს და დედამიწის კოსმიურ-მისტიური ურთიერთკავშირი, ურთიერთმთელიობა, ურთიერთარსი, ურთიერთაზრი, ურთიერთარსება და არსებობა. ცვა, დაცვივდი, აქა მიწად აიკრიბე და შეკრიბეო, აქა ამ აღგიღუო, აი, ასე ამეხსნება და ჩამესმება მე "ცი" (დოცი) და "უსაფატი" (დოშაფათე). ეს უკვე მთელი კოსმიური მისტერიაა.

ისევ და ისევ სახელდება
"უსა-შანგი" კაცის სახელია. "თი" სახელკარს ნიშნავს, ყოფილა ვიდაც დიდკაცი, დიდი ოჯახის პატრონი, მას "შანორბა" - სახელ-კარი ჰქონია იმ ადგილზე, სადაც დღეს უსაფატი. აქედან ადგილს უშას სახელ-კარი, უშას ოჯახი - "უსას თი" დაერქვა.

უსა კაცის სახელია, ბათი თათრული სიტყვაა და ნიშნავს დაღუპვას, მოკვლას, ე.ი. უსა დაიღუპა, უსა მოკლესო. თურქებს მოუკლეს ამ სოფლის მცხოვრებლებმა დიდი ბუდადი უსა. იქ, სადაც დღეს უსაფატი, იმ ადგილებში თათრობის დროს მომხდურთა ჯარი შესულა უშას მეთაურობით, რომელსაც მეგრელთა ჯარი შებშია. ომში უსა-სარდალი მოკლეს მეგრელებმა. თათრის ჯარი დაიბნა და გაიფანტა ყვორლით: უსა მოკლეს, ესე იგი უსა ბათიო! ამის შემდეგ სოფელს ეს სახელი შემორჩა.

მეორე ვერსიით, უსა მტრისას კი არა, ჩვენების სარდალს რქმევია, დაუფლეთია, სულ ნაფლეთუბად უქცევია მტერი, უფატრავს და ამიტომაც "უსაქ ფაფთი" - უსაფატი დარქმევია ადგილსაც.

მე მინიც მგონია, რომ ეს სახელი იმარხავს და ინახავს ლეგენდას ლეგენდარულ სიყვარულზე. უსა ჩვენს რომეოს ერქმეოდა, ფატი, ფათუშა - ჩვენს ჯულიეტას. ეს კიდევ ერთი ჩემუელი, გულდამაჯერებელი, ამდენად, ღვთიური და ამდენადვე რეალური, ჩემი ლეგენდაა სიყვარულზე, მაგრამ ამაზე სხვაგან და სხვა დროს.

ზოგადი დახასიათება

უსაფატი სენაკის რაიონის ზედა ზონის სოფელია. იგი გაშლილია გორაკობრივიან ზეგანზე, რაც ამ სოფელს რელიეფურ თავისებურებას უქმნის. არის ტყიანი მასივები, ვახიანი და ხეხილიანი სამხრეთის მხის გული ფერდობები, პირების საყანე მასივები, ნიადაგი წითელია და კარბონატულია, უძველესი დროიდან სოფელი ვახის, ხილისა და ბაღიყულის კულტურას მისდევდა. თესდა ღმისა და ჭადა-ჭადას, მოჰყავდა სიმინდის უხვი მოსავალი. მასზე გადიოდა არგვეთიდან მომავალი ძველი გზა - ჯოლევი-ლემბაქე-ფოცხოს გავლით ზუგდიდისაკენ და იქითკენ, კელასურისაკენ. ეს იყო ისტორიული "არგვეთ-კლისორის"

გზა. ამ გზის ერთ-ერთი ცენტრი იყო უსაფატი.

სოფელში უძველესი დროიდან განვითარებული იყო მესაქონლეობა, სამეურნეო საქმიანობის, ხელოვნური წარმოების მტკიცე ტრადიციები. იგი მდიდარია ისტორიული ძეგლებით და ადგილებით. ყოველი კუთხე, მცირე ადგილიც კი საესეა საინტერესო მიკროტოპონიმებით. უსაფათს სამხრეთით სოფელი კვი, ჩრდილოეთით ჩხოროწყუს რაიონი, ჩრდილო-აღმოსავლეთით ნოქალაქევი და ლემბაქევი ესაზღვრება. ახლა კი განვიხილოთ ადგილობრივი სახელდებიანი უსაფატი, უსაფათის ადგილობრივი სახელდება. მთელი და მთლიანი იდუმალეობა, საიდუმლოება სწორედაც რომ ტოპონიმებში, ტოპონიმკაში, ადგილმდებარეობის აღმნიშვნელ სახელებში, სახელწოდებებშია ჩედებული, ჩამარხული, კოდირებული.

სტალინი უსაფატიში

უსაფატიში ერთ ადგილს "გაგუშუა" (მაღალზურგა) ჰქვია. აქ უტუ მიქავას კაცები მისულან და ხალხი გაუწვევიათ. 1905 წლის რევოლუციის დროს მქადაგებლები მოდიოდნენ თურმე და ქადაგებდნენ ერთობის საქმეს. აქ გულია ღორთქიფანისძის ქალიც კი მისულა ერთხელ. ეს ქალი ცნობილი ბოლშევიკი-არტიკტიკორი ყოფილა თურმე, მას ტანდაბალი, ჩოფურა, ნაყვავილარი ახალგაზრდა მოჰყოლია. მას გულია კობას ეძახდაო. ადგილი მისახვედრია, რომ, აქ სოსო ჯუდაშვილზე შემდგომში კი დიდ სტალინზეა საუბარი. ამ ახალგაზრდამ აქ ისე მუხნებარედ იქადაგა, რომ ყველა მოხიბლავს. ადგილობრივები სტუმრებს გულუხვად გამასპინძლებიან, რაც ძალიან მოსწონებიათ სტუმრებს. განსაკუთრებით კი კობა დარჩენილა ადგილებში ამ ხალხის სიკარგიოთ, სიტყვა-პასუხით, სტუმრიანობით, სიკეთით და სიალალით, აგრეთვე სოფლის მდებარეობით, ბინებით. 1918 წლის სამეგრელოს გლეხთა აჯანყების დროს სასა გუბატორის რაზმის წევრებიც ყოფილან აქ, მათ აქ რაზმი შეუდგენიათ. ეს სოფელი ყოველთვის მნიშვნელოვანი ცენტრი ყოფილა. საქართველოს და საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ლიდერია აქ ნამყოფი, ზოგჯერ საზღვარგარეთელი ლიდერების თანხლებითაც.

ბაბნოხორი (ბაბნასახლარი)

ამჟამად ამ ადგილზე ჩაის პლანტაცია და ჩაის ფაბრიკაა. გადმოცემით ორი ძმა ბოკუნავეები ბაბუე და სეხნია აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნადან უსაფატიში გადმოსახლებულან. ბაბუე უშილოდ გადაშენებულა, სეხნიას შთამომავლობა კი გაბრავლელა. უსაფატიში მცხოვრები ბოკუნავეები ამ სეხნიას შთამომავალნი არიან. აქვეა ლებოკუნეს - საბოკუნოს უბანიც. ბაბუე რაკი გადაშენებულა, მისი ნამოსახლარი ადგილისათვის უწოდებიათ "ბაბუე ნოხორი" - ბაბუეს ნასახლარი, მოკლედ კი - ბაბნოხორი. ახლა აქ ამ გვარის სამიოდე ოჯახია შემორჩენილი. ისე, რა გვარებს არ შეხვდებით აქ: ა-ზე, ვა-ზე, ძე-ზე, შვილ-ზე, უა-ზე, ია-ზე დამთავრებულებს, აგრეთვე რუსულ, უკრაინულ გვარებს. აქაური ჩაის ფაბრიკა ხომ საკავშირო-საერთაშორისო მნიშვნელობისა იყო, საბჭოთა კავშირის რომელი კუთხიდან არ იყენებ აქ სამუშაოდ ჩამოსულნი, სულაც აქ რჩებოდნენ საცხოვრებლად. ისე მოსწონდათ აქაურობა. საქართველოში პირველი ჩაის ფაბრიკები სამგან ერთდროულად აიგო: უსაფატიში, ჩაქეში და ანასუელში. ჩაის ფაბრიკის კომპლექსი საერთო საცხოვრებლებით, მომსახურების ობიექტებით ნამდვილი მიკროქალაქი იყო უსაფათის ცენტრში.

მეტიერია - მეტი არა, მოხაშური

ჯელე მომდინარეობს სოფელ ნოლადან, გაივლის მდინარე ფოცხოს და უერთდება მდინარე ცივს. განმარტავენ: სოფელში ორი კაცი დადიოდა, დაჰქონდათ გასაყიდად საღებავი მასალა, მიაღწენ ამ ღელეს

გადასახველად. ერთმა უთხრა მეორეს: ეს ღელე მეტი არაა, მცირე წყალია და ფეხით გადავიდეთო. გადასვლის დროს ერთი დაიხრწო, მეორე გადარჩა. აქედან დაერქვა ამ ღელეს მეტიერია. მოხაშურიც მოხრდილი ღელეა. მომდინარეობს სოფელ მოხაშიდან, გზაზე იერთებს ხანჯარა ღელეს და ისიც უერთდება მდინარე ცივს. რადგანაც ის სოფელ მოხაშიდან მოედინება, მოხაშურს ეძახიან.

ღმეშრციმ - სახეშრციო

ამ ოციოდე წლის წინათ ეს უბანი დასახლებული იყო. ადგილი მდიდარია ხილით და ვახით, უხემოსავლიანი ადგილებით, საბალახოებით, წყაროს წყლებით, ტყითა და ყოველი სიკეთით. აქ დაარსდა კოლმეურნეობა, ახლა კი სულ აიყარა ხალხი, მხოლოდ ორი-სამი მოსახლეა დარჩენილი. ნაეზორები შემოკავებულ-შერაგული შემორჩენილა, ბუნება მართლაც საუკეთესოა, წყალიც, ხალხი კი მიდის, ადგილი იცლება...

ვაზის ჯიშები უსაფატიში

ჭიფეშონა (წვრილი სვანური) - ამ ადგილებში მაღალი ხურმის, თხმელის, ვაშლის ხეებზე გაშვებული იყო ძველი ვაზი "წვრილი შონური". იგი შავყურძინიანი ჯიშია, კარგად იხსამს, წვრილი, ოდნავ წოწოლა მტევანი იცის, აქვს წვრილი მარცვალი, დეგეა ძალიან კარგი ღვინო. ოჩე (საღვწური) - აქ დობილი იყო. ჩემი - თეთრყურძინიანი ჯიშია. ძალიან კარგად იხსამს, აქვს გრძელი, საკმაოდ მსხვილი მტევანი. კარგად მწიფდება, დეგეა საუკეთესო თეთრი ღვინო. უჩაშონა (შავი სვანური) - ამ ადგილებში ძველ დროში შავყურძინიანი სვანური ჯიშის ვაზი იყო მაღალზე. მტევნები პატარაა, მარცვლებიც შედარებით წვრილი, მაგრამ მჭიდროდ ზის მტევანში. იცის ძალიან ხშირი მოხსმა, კარგად მწიფდება, იცის საუკეთესო ღვინო. ოჯალეში - ამ ადგილს სულ ვენახი იყო მაღალზე. ამისთვის ხალხი იყენებდა ხურმის და ვაშლის ხეს, მათზე უფრო მწიფდება ყურძენიო. ამასთან, ხურმა და ვაზი, ვაშლი და ვაზი ერთმანეთს კევავენ, ასაზრდოებენ. მწიფდება გვიან, დეკემბერში და იცის ძალიან კარგი ღვინო. შემდეგ ეს ვაზი საღვინოში მარკოზი სურმავეს ჰქონია. კოლოშონა (მწარე სვანური) - ამ ადგილებში სულ კოლოშონას ვაზი იყო მაღალზე. შავყურძინიანი ჯიშია, იხსამს კარგად, მაჭარი მწარეა, ღვინდება საუკეთესოდ. იყო აგრეთვე ობუალიე ვაზიც (სამხეო ვაზი).

სხვა ადგილები უსაფატიში

ობუათე (სამხეო) - სოფლის ცენტრია. ამ ადგილას სამხეოს ეძახიან. აქ სულ ობუალიე - მაღლარი ვაზი ესხა ხურმის და თხემლის ხეებზეო.

ობუამე (სალოცავი, ეკლესია) - წმინდა გიორგის სახელობისა ყოფილა. ახლა აქ მარტო ნანგრევები და სასახლეაო. **ნაოს-ვაშე** (ნასალოცავი, ნაეკლესიარი), **ობუამე** ვერდი მდგარა. მისი მომსწრე ახლა არაინაა. **პაპაში გიოლაფურა** მაცხოვრის ეკლესია, ახლა დანგრეულია, **ხატმაშული** - ხატის მამული, ხატის მიწა ყოფილა. მას ხალხი უფასოდ ამუშაებდა და მთელ მოსავალს ეკლესიას აძლევდა გასამრჯელოს გარეშე. საუბნო ობუამე-ები: **ლეგაბუნეში** (საგაბუნის), **ლეხორეში** (სახორავის).

კადარი - მაღალი, ქვიანი ადგილია, აქ ცაცხეები მდგარა, გაშლილი ველი ყოფილა. აქ ცოდნით ჯარიანობა. ყოველ საღამოს იკრიბებოდნენ კუთხის მოედანზე, ან რომელიმე მოსახლის სახლის წინ გაშლილ ველზე და საუბრობდნენ, მდებოდნენ, ისვენებდნენ.

ნასიბ (სიბაკარი) - აქ სიბაკარი იყო გზა გადაკეტილი. სიბაკარი ლარტყებით შეკრული კარია. 3 ვერტიკალურ ლარტყაზე დაკრულია 5-6 პორიზონტალური ლარტყა...

ყვარიათი (ყვაგოჯახი) - აქ მოსახლე კაცს ყვარია (ყვაგი) რქმევია, რადგან ძალიან შეგებუა ყოფილა...

სქეგმეწეი (შეგმეწეი) - ამ ადგილას უდრანი ტყე ყოფილა, სადაც შეგლები ბუდობდნენ, ღელე "მენჯიში" ჩადიდნენ და სვამდნენ მარილიან წყალს. **ჭახაში ნოხორი** (ჭახას ნასახლარი) -

ის ყოფილა ვინმე არჯვენიანი რქმევია ჭახა, ქეიფი და ჭიქების ჭახა-ჭუხი უყვარდაო. შემდეგ გადაშენებულან. **გონაში ნოხორი** (გონას ნასახლარი) - ესეც არჯვენიანის ძეა, რომელიც შთამომავლებითურთ აქედან გადასახლებულა. ამ სახელიდან მოდის გვარი - არჯვენიანე-სოფელში ამჟამადაც არის ამ გვარის ერთი დიდებული ოჯახი. მათ თავიანთი "წყვც" (წყარო) ჰქონიათ. ძველთაძველი წყაროა, ძალიან რბილი და ცივი.

ნოხორები (ნასახლარები) აქ ბევრია: საჯაიაში (საჯაიას), დესიში (დესის), ძიმის-ტარასქვაში (ძიმისტარაშვილის), გვიდაში (გვიდას), ლევაში (ლევის), ოსკაში (ოსკას), სამსოში (სამსონის) ტაგუში (ტაგუს), გაჯიში ნაყვანიე (გაჯის ნაყანარი), ნადოხორუ (ნასახლარი), ისევე, როგორც "ყოფილობის" აღმნიშვნელი სახელები: ნაფალუ - ფალაგების ნამამულარი, ნაკანტორუ - ნაკანტორალი, ნაწიფუ (ქრისტესისხლა) - აქ სულ ქრისტესისხლა ხარობდა, სოფლის მკურნალეები მისგან წამლებს აკეთებდნენ, ომანდარინე - სამანდარინო და სხვა...

სხვა ადგილებიც: შქადობერა - შუა დობილო, კურდელგოლა - კურდელის მთა, გეროხონა - ქვადორდიანი და ა.შ. და ა.შ.

სახელსამარხები, ასე მიქვია მე ტოპონიმებზე. იქაა ჩამარხულ-დამალული, კოსმიურად და კონცეპტუალურად და კონცენტრირებულად კოდირებული ყოველივე იდუმალეობა, საიდუმლოება, ისტორია, აწმყოც და მომავალიც, მიზეზიც, მიზანიც, მისიაც, დანიშნულებაც არსიც, არსებაც, არსებობაც, აზრიც, აზრებაც, აზროვნებაც საზრისიც საარსისიც.

მერაბ ხუბუა - კოლხიამ ლიელო-ლახელი

დაბგვიანებული სამადლოელები

ქალბატონ მანანა კობახიძეს პირველად წლებს წინ შეეხვდი, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე ვაბარებდი მისადებ გამოცდებს. გასაუბრება გვიქონდა ფრიადოსან აბითურენტებს ქალბატონთან, რომელიც საკმაოდ მაღალ რეკლამებს ფლობდა, მაშინდელი სოციალ-პოლიტიკური წილების შესაბამისს. ქალბატონმა მანანამ მარადქალური თუ პედაგოგიური აღლოთი ჩემში ორი თვისება დაინახა: ნიჭიერება (ეს თვითრეკლამა არ არის) და მორიდებულობა. მიჩნია, რომ რადგან ისეთ დიდ კონკურსში, რომელიც ზემოთ დასახლებულ ფაკულტეტზე იყო მოსალოდნელი, გამჭირდებოდა გამარჯვება (სწორედ მორიდებულობის გამო), სჯობდა გამოცდები სატელევიზიო საუნივერსიტეტო სისტემის გამოყენებით ჩამუშარებინა. ქულათა უმაღლესმა მანიერებელმა, მე რომ დავაგოროვე, მანანა ჩემზე მეტად გაახარა, მგონი, და მაშინდელ განათლების მინისტრთან - ბატონ გიორგი ჯიბლაძესთან წარმადგინა სათანადო რეკომენდაციით. ბატონმა გიორგიმ თავის ლექციებზე დასწრება შემომთავაზა, რაც, ბუნებრივია, სიამოვნებით მივიღე და მაღლოელიც დავრჩი, გასაუბრები მიზეზის ვალო (ბატონი გიორგი ხომ საოცრად განათლებული და მკერმეტყველი კაცი იყო).

მერე რამდენიმე ფაკულტეტი დავამთავრე, ასპირანტურაც, ახალგაზრდა აკადემიკოსთა აკადემიის წევრიც ვიყავი და პრეზიდენტის (სახოგადობრივ საწყისზე). მაგრამ პირველი იმედი და სიხარული, ცოდნის მიღების სურვილი, საკუთარი პიროვნების შეცნობა: "ვინ არის, სიღამ მოსულა, სად არის, წავა სადაო" (როგორც დავით გურამიშვილი ბრძანებდა), - ჩემში, ქალბატონ მანანა კობახიძის დამსახურებაა. ქრისტიანული თვალთახილვით, სწავლა-განათლება არის "სვლა გზათა ღვიოსათა" - ხე ცნობადის ნაყოფის გასინჯვით დაკარგული დეტაბრიობის დაბრუნება. ყველაფერს ამას, თუ ჩემში არის, მე ქალბატონ მანანას ვუმაღლო.

მერაბ ხუბუა, მეცნიერ-მუშაკი, სენაკის რაიონი, სოფელი უსაფატი

ირონია ასეთი არ უნდა ჩვეო ქვირფასებო!

რომ ჰკითხოთ – „გაგრძელება მე-12 გეგმიურ სისაბავლე“ ვერძვიან ეს ნეოკომუნისტ-ნეოკომსოლოგები და საკუთარს, თვალ-ყურისგან უნახავს და გაუგონარს ნერვაგევი...

თუ მთლად არ გადაგვარებულხარ ჩემო ჯიშო და ჯილაგო – მაშინ მიპასუხე როგორ ხსნი საქართველოს ტელევიზიის ირონიას: „...თურმე ქეთო და კოტეს გადადება გადაუწყვეტია პოლიველს და მთავარი როლების შემსრულებლებად ანჯგელინა ჯოლი და ბრედ პიტი მიუწყვევიათ!.. და, თქვენ წარმოიდგინეთ უარს ამბობს ქართველი ხალხი „ასეთი ცუდი ყოფაცქვევის მსახიობები როგორ გვაკადრეთ, ყველა როლი ქართველებმა უნდა შეასრულონო!“

უსიტყვოდ დაგეთანხმებოდით, რომ არა – თუ მთლიანად, ქართველს ვინ გაუტოლდება სიბილწეში, მითუმეტეს ზემოთხსენებული ირონიის ავტორებს!..

– ირონია ასეთი არ უნდა ჩემო ძვირფასებო!

და აქვე მოგმართავთ: – რატომ ცხებით იმას, რაც თქვენს შემკვეთებს თქვენთვის არ დაუვალებათ?!

– რატომ აკეთებთ იმას, რასაც ძველქართულ ტრადიციულად „დაუკრფავში გადასვლა“ ჰქვია?!

– ხომ არ არის ეს, ის, რასაც ხშირად – „განსაკუთრებულ ქართულ ნიჭიერებას“ რომ ვეძახით?

თითქოს, ვიღაცას მთელი თავით ვჯობნით, სინამდვილეში კი, რასაც სხვა არ კადრულს იმაზე ჩვენ არც დაფიქრებდით ისე ვაწერთ ხელს და მეტრე ამას „განსაკუთრებულ ნიჭიერებად“ ვნათლავთ?!

ვაი, რომ ეს სხვა არაფერია გარდა უკადრისის კადრება, რაც საგანგებოდ დაკონურად და ზედმიწევნით უსუსტად გამოთქვა ბატონმა ნოდარ ნათაძემ, როცა სააკაშვილს და მის მთავრობას ახასიათებდა – „საკაშვილის მთავრობაში ადამიანები ინიშნებიან არა იმის მიხედვით ვის რისი კეთება შეუძლია, არამედ, იმის მიხედვით ვინ რას იკადრებს“

არც ჩემთვის არის გასაკვირი, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, ვისაც რა გზით შეუძლია ფულის მოხრა იმ გზას ადგას. ყველა ყიდის იმას რისი გაყიდვაც შეუძლია და როგორ მყიდველს იპოვის. ზოგს მეტად უმართლებს ამ ყიდვა-გაყიდვაში, ზოგსაც ნაკლებად! თქვენ წარმოიდგინეთ – ვერც გამოდნაძემ და ვერც მისმა შვილობილმა „მიშა მაგარიამ“ და მისმა მთავრობამ იპოვა ისეთი კლიენტი ჩვენს სამშობლოს მთლიანად რომ იყიდა, თორემ ყველა ჩვენ-თაგანს გვეშველებოდა და ვიქნებოდით დღეს ერთად, დაუნაწევრებლად ერთი პატრონის ხელში, რა მნიშვნელობა აქვს ვინ იქნებოდა იგი, მთავარია ერთად ვიქნებოდით, მაგარამ... ვინ მოგვცა ჩვენ ამის ბედი!

ყველა ქართველივეთ, მეც ისტორია მიტაცებს და ამ ყიდვა-გაყიდვაზე ფიქრში გამახსენდა – მე-19 საუკუნეში გრაფმა ლევაშოვმა გელათიდან რესტავრაციის მიზნით ხახულის ხატი წაიღო პეტერბურგს და იქ მისი გაყიდვა დააპირა. იმდენად ძვირი აღმოჩნდა მისი განძი, ერთბაშად მყიდველი რომ ვერ იპოვა, გაბრაზებულმა, ვერაგული გადაწყვეტილება მიიღო და ხელოვნების საოცრება – ღვთისმშობლის ტიხრული მინანქარი დაამსხვრია და ნატეხებად გაყიდა!

ზუსტად იგივე გაიმეორეს „შეგარდნაძე-უსხსენებელმა“ და მისმა შვილობილმა „მიშა მაგარიამ“ – საქართველო ჯერ დაანაკურეს, მკვიდრი მოსახლეობა გამოირეკეს, უსახლკაროდ აქციეს და ასე ღვევაშივისებურად ნაწილ-ნაწილ ყიდიან მას!..

ერთი და მნიშვნელოვანი განსხვავება მაინც არის ღვევაშივასა და შეგარდნაძე-საკაშვილის ტანდემის შორის – ღვევაშივი ქართულ განძს ეტანებოდა, ჩვენი ორი უსხსენებელი კი განძთან და ტერიტორიასთან ერთად ქართულ ზნეობასაც და დიდი წარმატებობაც!.. სხვა რთი უნდა ავსხნათ პატრონების, ზნეობის დაცინვა. როგორც ეს ზემოთხსენებულ რეკლამაშია გამოხატული? – ზნეობის მუშტარი მოვადგა? – იგი დაუფიქრებლად უნდა გაყიდო!.. მყიდველი შეიძლება მას ვერ გამოიყენებს!.. არა უშავს, მთავარია შენგან იყიდის შესაბამისი „სერტიფიკატი“ და იგი ამიერიდან შენ არ გაგაჩნია – რადგან შენ მას გასაყიდად შეეღობა!

– ეს არის დღევანდელი, ამერიკული „სერტიფიკატი“ ხელდამშვენებული ქართველი „გაჭრის“ და მისი „მუშტრის“ არაბ-მონღოლ-თურქ-სელჯუკთა და სომეხთა მთავარი პრინციპი!.. მერე გვიკვირს –

როგორ იკადრა სომეხმა, ქართული „ჩაკრულ“ სომხურად გამოაცხადა, 650 ქართულ ეკლესია-მონასტერს გვედავება, მაჰმადის ჯიშში დავით გარეჯის წმინდა სავანეს ინემებს და იქიდან გარეკვას ვეპირებს!..

არაერთგზის განაცხადა მაღალი ტრიბუნებიდან სააკაშვილმა საქართველოს ისტორია 2003 წლიდან იწყება! სომხებმაც არ დაახანეს – „შეხედეთ რას ამბობს ყველა დროის ყველაზე დიდი სომეხი“ და სასწრაფოდ გამოსცეს 200-გვერდიანი გზამკვლევი-ალბომი ინგლისურ ენაზე, სადაც საქართველო სომხეთის შემადგენლობაშია (მთლიანად კავკასიასთან ერთად!) მოქცეული და საქართველოში სასაუბრო ენად სომხურია გამოცხადებული!

სხვათა შორის, ამ ბოლო დროს, სომხებმა ქართველების უცხოეთში ძაგება-დაბეზღების ახალი მეთოდი დაამკვიდრეს – ისინი ჩვენს საღამოდვე წიგნებს პირდაპირ, სომხური დედნის გარეშემ ქვეყნის ენაზე გამოსცემენ, სადაც ჩვენი თავის მოჭრა აქვე გადაწყვეტილი. ამასობაში, აზერბაიჯანელები „დავით-გარეჯის“ სამონასტრო კომპლექსს მიაღწენ – აქაოდა, საშოვარის დრო დადგა, რა მნიშვნელობა აქვს ქართველს რას წავართმევთ, ქრისტიანული ეკლესია იქნება იგი თუ სამონასტრო კომპლექსი!.. და ამ დროს, პასუხის გამცემი არავინაა ქვეყანაში!

– ყველაზე დიდი უბედურება კი ისაა, რომ თუ ვინმე საქმიან და დამაჯერებელ არგუმენტებს წარმოადგენს ამ თემაზე (მაგალითისთვის: ბ-ნი კლიმენტი შელიას და ბ-ნი ანხორ შინიას მეცნიერული ნაშრომები „კოლხეთი – ჩვენი სამეფოს კარიბჭე“, „კოლხები – ქართველების წინაპრები“, „გამოკვლევები დავით-გარეჯის თემაზე“) მას საგულდაგულოდ მიჩქმალავენ, ყურებს დაიხშობენ და თვალებს დაიბრმავევენ – ჩვენ არაფერი გვსმენია, არაფერი გვინახავს!

ის აზერბაიჯანელი, თუ თათარი, მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოების ქართულ სავანეს რომ გვედავება – მართლა ურჯულად და საკუთარი „ისლამის“ უარმყოფელი რომაა, იქიდანაც ჩანს, ოღონდ წავართვას და სულაც არ დაუტებს რას გართმევს! ტყუილად გავირჯებით თუ მათ დაეკადრებთ – „ძალით გაჭმეფე დორის ხორცს, კეფაზე დაგასხამე წვეინსო!“ ეს ჩვენს „მოძმე“ აზერბაიჯანელებზე არ გასჭრის – „დავით-გარეჯის“ მისაკუთრების მცდელობით, ჩვენი „ძმები“ აზერბაიჯანელები, ისეთ რამეს მიითმევენ თვით მათგან მოძულე ბული „დონღუზიც“ რომ არ იკადრებს!..

ანახადე, დიდი ნიჟო კვცხოველის სიტყვები მახსენდება: „თუ კი რომელიმე ერს ისტორია არა აქვს, ანუ ქვეთ დავით-გარეჯი და დიდებული წარსული ექნებაო!“

არავის ვგონოს, აზერბაიჯანელების „დავით-გარეჯის“ სამონასტრო კომპლექსით „გადარევა“ შემთხვევითი ამბავი იყოს! ჩვენი „ისტორიკოსებისგან“ განსხვავებით (რომლებიც „დავით-გარეჯს“ მხოლოდ ტურისტულ ობიექტად განიხილავენ!), მათ ზედმიწევნით კარგად ესმით საქართველოსათვის მისი მნიშვნელობა და საბოლოოდ თუ ვერ დაისაკუთრებენ მას, „ქარის წისკილებთან ბრძოლით დაგვდობან“ და შეეცდებიან, უფრო დიდი და ქართული სახელმწიფოს არსებობისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორიები წავგართვეან!

ყველაფერი ეს ხდება იმ დროს, როცა ქართული მხარე და მისი – სატანას სულ-მიყვდელი ისტორიკოსები კრინტს არ ძრავენ ძირძველ ქართულ მიწებზე, რომლებიც დღემდე ღვთის მადლით, უძველესი ქართული მოდგმის და ქართულად მოღაპრაკე მოსახლეობით არის დასახლებული!

ეს კიდევ არაფერი – მოძალადეს „დემოკრატიულ“ გამოსავალს – „დავით-გარეჯის ორმხრივ ექსპლორატაციას“ სთავაზობენ!

მართლაც „გადასარევიან“ რამდენიმე შეკითხვა რომ არ იბადებოდეს ზემოთთქმული „სიბრძნის“ გაგონებისთანავე:

1. როგორ უნდა გააწიოს ერთობლივი ექსპლორატაცია „დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსს“ ქართულ-აზერბაიჯანულმა მხარემ?

2. რა უნდა აკეთონ მაჰმადიანებმა ქრისტიანულ მონასტერში?

თუ კი ჩვენი „ქართველი ჭკუის კოლოფი ისტორიკოსები ორმხრივ ექსპლორატაციაში“ იმას ითვალისწინებენ (რისიც ნაკლებად გვეჭრება), რომ ქრისტიანული მონასტრის დანიშნულება ურწმუნოთა ჭკუიანი რელიგიასე მოქცევაა, მაშინ ჩვენ მას მივესალმებით და თუ, აზერბაიჯანელებიც დაგვთანხმდებიან მსგავსი ფორმით „დავით-გარეჯის ერთობლივად ექსპლორატაციას“,

ჩვენ მზად ვართ – ვიყოთ მათი ნათლები და ისინი ვახიაროთ იმ ჭკუიან რელიგიას, რომლის მატარებელი მათ მიერ მიტაცებულ მიწებზე მაცხოვრებელი კოლხები იყვნენ, რომელთა ნასახლარებზე ჯამთა სიავის გამო, დღეს უცხო ჯიშია მომრავლებული!

ნაცვლად იმისა, ერთმანეთის და სამშობლოს ინტერესების ერთგული და ერთპირი ვიყოთ, აგეამიანობისას (უარესი დემოტმა გვაშოროს ვიდრე დღეს ადგას საქართველოს!), მაგანი ყველანიარად ცდილობენ, საზოგადოების ყურადღება მოაღწონონ. ყველაზე დიდი საშინელება – მრევლის ყურადღება მოაცილონ ჯვარს და სალოცავს და იგი სულ სხვაგან გადაიტანონ, რაც ბუნებაში არ არსებობს!..

სამწუხაროდ, სწორედ ამის დასტურად „აბიჟურა“ მიწიერ ქრისტიანთათვის, ყველაზე წმინდა წერილის „საშობაო ეპისტოლე“ ერთ ნაწილში, სადაც – სახარების და ბიბლიის სვანურ, მეგრულ და ლაზურ(?) ენებზე თარგმნაზე, ეკლესია-მონასტრებში ამ ენებზე ღვთისმსახურების შემოღების მცდელობაზე და შემდგომ დედა-სამშობლოდან განდგობაზეა საუბარი!..

ჩვენი, ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება, ახალი პროუოკაციების გასადვივებლად რომ არ გამოიყენონ, ანტიქრისტიანულმა, სამთავრობო და არასამთავრობო პროუოკატორებმა – აქედანვე გამოვიცხავო უწმინდების და უნეტარების ხელდასხმას, ამ ანტიქრისტიანულ ბრალდებაზე, საქართველოს სამი უძველესი კუთხის და მისი მოსახლეობის მიმართ! გაგებდავთ და ვიტყვით – ჩვენი სამშობლოს და ჭკუიანი რელიგიის ავისმოსურნეთ, წმინდა წერილების შედგენა და მათ ფალსიფიცირებაზეც მიუწყდებათ ხელი!

გამომდინარე აქედან, კატეგორიულად ვცხადებთ:

– ქრისტეშობის ბრწინვალედღესასწაულის დამეს, მსგავსი უპატივემყოფი დამოკიდებულება იმ კუთხეების მიმართ, რომლებმაც უხსოვარი დროიდან დღემდე მოიტანა სომხურ და თათრულგაურკვევად ქართული სიწმინდეები და ზნე-ჩვეულება, სხვა არაფერია, თუ არა მრევლის ფიქრი და აზროვნება მორიდონ ამ უკანასკნელთა მიერ, ჩვენი სამშობლოს სახიანოდ მომხადებულ რეალურ საფრთხეს და იგი გადაიტანონ იქ, სადაც ეს პრობლემა საერთოდ არ არსებობს!

ვინმეს რომ გადაჭარბებულად მკაცრად და შესაძლოა, უხეშადაც რომ არ მოეგონოს ზემოთნათქვამი, მათ საყურადღებოდ ვაცხადებთ:

– ჩვენ, არც „რომის პაპს ვეპაქრებით და არც მის მოწინააღმდეგეებს“

– ჩვენ მხოლოდ ჩვენი სამშობლოს ხილურ და უხილავ მტრებს, გვაქვს საუბარი, რომლებსაც ხან სომხის, ხან აზერბაიჯანელის, ხანაც საქართველოს პრეზიდენტის და მის მიერ პროუოცირებული, რუსულ-ამერიკულ პროექტს ნაღდატევი – 2008 წლის აგვისტოს ომის სახით შემოგვაჩვენებენ!

– ვინ მოგვცემს ჩვენ ამის უფლებას, თორემ:

– დადრე ნურავის ექნება – „ჩვენს მიცვალეულს, ჩვენ უფრო დირსეულად გაგაპატიონსებო!“

მე და ათასობით ჩემისთანა, საქართველოს შიგნით და მის გარეთ, შევიძლებთ ხმა მივწვიინოთ (რაც არც ისე ადვილი საქმეა თორემ, ისევე საქართველოს მტრების გამოხიბობით, რომლებსაც ყველგან მიუწვდებით ხელი!) საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესს და უნეტარესს ილია მეორეს და მოვასხენებთ, რომ – ჩვენი სამშობლო საქართველო, როგორც სახელმწიფო კატანსტროფის წინაშე დგას, ქართველი ერი კი „საძოვარზეა მიშებული“, მისი პრეზიდენტი კი ცარიულ ვაგონებს „GEORGIA“ რომ აწერია ჭინვანი კედლებზე, ამერიკელების მიერ დიქცენზირებული ქართველი „ექსპერტების“ დაუხარელი დასკვნებით – „მსოფლიოს საუკეთესო ათეულისკენ“ მიარხიხენებს!..

ჩვენი ყველაზე დიდი უბედურება ყველაფერთან ერთად ისიც არის, რომ ამ უჯიშოთა დამხვევებლები ამერიკელები, რა დაგიძლიათ და გვეჩვენება რუსებზე – ჩემ-ჩემად და მხიარულად უბათქუნებენ ტაშს საკუთარი ქვეყნის იავარმქნელებს!.. ხან-დისხან, თითქოს დიხიანდებოდნენ კიდევ მათზე, წყრომას ხმამაღლადაც გამოხატავენ! სინამდვილეში კი, ერთმანეთს აფრთხილებენ – „ხელს ვერ შეუშლით, უარესს მონღოლთა ურდო ნურ უნამდა, რაც საკუთარ ქვეყანას და ხალხს დაწაფისო სააკაშვილმა და მისმა „ნაცემოებმა!“

დღეს, არავისთვისაა უცხო, ყველა ინ-

სტანციაში, ბრიუსელის და ევროპარლამენტის ჩათვლით, რუსეთს თუ რაიმეს საყვედურობენ – საქართველოში მათთვის „ნებადაურთველ“ ტერიტორიებზე შეჭრა და სააკაშვილისთვის საკუთარი ქვეყნის ნერვეაში ხელის შეშლაა!..

ჟამიდან-ჟამს, ამ შენიშვნის ჭკუიანობა, ამ ორი ქვეყნისგან უკონტროლო ტერიტორიებზე ინენს თავს და – ხან ენგურის სიხლოვეს რკინიგზის ლიანდაგები, მაშისონთან საუკუნეების წინ აშენებული ხიდები, ქუთაისში კი მეორე მსოფლიო ომში დაღუპული 300.000 ქართველი ჯარისკაცის უკვდავსაყოფად აღმართული, უნიკალური მემორიალი ფოტოქდება!..

მოდით და ამის შემდეგ შევადევთ მაგანს, როცა, უძველეს ქართულ ანდაზას ჩვენვე შემოგვიბრუნებს – „გივი მიუშვი ნებასო!“ ბოდიშს გიხდით, მთავარ სათქმელს გადაეხვიეთ, მაგრამ ჩვენთვის, უცხოეთში გადახვეწილთათვის მთავარი და მეორე ხარისხობანი საკითხი არ ასებობს, როცა იგი საქართველოს ეხება!

ძილებული ვარ „ილორის“ ადრინდელ პუბლიკაციებს მიგუბრუნდე და ზოგიერთი მათგანი შევასხნო მკითხველს: „შეგარდნაძე-უსხსენებელმა“ სოხუის მოსახლეობის „სიკვდილის უღელტეხილზე“ გარეკვით როდი დაასრულა თავისი მსაკერული გეგმა – სასიკვდილო განსაცდელში ჩავარდნილ ხალხს (დიდი უმრავლესობა მათგან მეგრულ ენაზე მოლაპარაკე გახლდათ!), ზღაში მხედრიონის ყაჩაღები დაახვედრა საძარცვაოდ და დასაწოკებლად, ცოცხლად გადაარჩენილს, ყველაფერი ეს სისაბავლე სვანებისთვის რომ დაებრალდებინათ!..

– აფხაზეთი მოსტუმრებული მკორდათ, ვინიცობაა, სამეგრელოს თვითონ ვერ მოუდებდნენ ბოლოს – სვანები და მეგრელები უნდა დარეოდნენ ერთმანეთს!.. საბედნიეროდ, სვანებიც და მეგრელებიც, მიუხედავად თავსდატეხილი გასაჭირისა, „საკუთარ თავზე მადლა დადგენენ“ და როგორც იტყვიან – სატანა მაშინ გაწბილებული დარჩა!..

საბედნიეროდ, მათ დღესაც კარგად ესმით – სატანა, იმიტომაა სატანა, მისთვის განსხვავებული დრო და ჟამი არ არსებობს, არც არაფერი ავიწყდება და მაშინ აღასრულებს სატანურ მიზნებს, როცა ამისათვის მოსარგო მომენტს იხილავს!.. ასეთად, მაგ, საქართველოს, მეზობელ ქვეყნებთან გაცხადებული (რუსეთთან) და გაუცხადებელი (სომხეთთან და აზერბაიჯანელებთან), უკიდურესად გართულებული ურთიერთობის ჟამს ეკლესიის და მისი უმადლევის უმადლევის შეცდენა სცადა და „სვანების, მეგრელების და ლაზების(?)“ საერთო ქართული ოჯახიდან განდგომის მცდელობაში“ დადანიშნულებით დაწარჩენი საქართველოს დასაქვევებლად ღვთისმსახური აამტყველა: „...დღეს, როდესაც ჩვენს წინაშე უმნიშვნელოვანესი ამოცანა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა, თანდათან იზრდება მეორე, არანაკლები საფრთხე ენობრივი და შიდა; არიან ისეთი ძალები, რომელიც (ირონია ასეთი არ უნდა ჩემო ძვირფასებო!) ნაკლებად მოაზროვნე ადამიანებს უბიძგებენ, რომ ითარგმნოს ბიბლია ან სხვა წიგნი მეგრულად, სვანურად, ლაზურად და მოამზადონ ნიადაგი იმისათვის, რომ ახლო მომავალში ქართული ენის განშტოვანი უკვე ცალკე ენებად გამოაცხადონ.“

– ჩვენ ქრისტიანები ვართ და უნდა ვთქვათ – დემეტრო აპატიე ყველა ცოდვილს, ვინაც მსგავსი სიბილწე გაიფიქრე გულში და იგი დედა ტაძრის კედლებში გაახშივანა, რადგან – „არა იციან რასა იქმან“

ყველაფერი ამით რომ მთავრდებოდეს, კიდევ არა უშავს, მაგრამ იძულებული ვარ, მეც ჩავდგა ცოდვაში ვეხი და ვთქვა – მათ ძალიან კარგად იციან რასაც აკეთებენ. მათი მცდელობა იქითკენ არის მიმართული ქვეყნის და მისი მორწმუნე ნაწილის (იმ წმინდა დამეს მრავლად იყვნენ სამების ტაძარში ჩინოსნები და უწინონი, რომლებიც პირადად მონაწილეობდნენ 19 წლის წინ ქვეყნის დაქვევაში, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გასხვისებაში, ეკლესია-მონასტრების დაბრევა აფეთქებაში) ყურადღება მოაცილონ რეალურად არსებულ პრობლემებს და გადაიტანონ ისინი იქ, როგორც ზემოთ ვახსენეთ – ადაც იგი არ არსებობს!

კიდევ ერთხელ ვთხოვ უფალს შენდობას, როცა სატანა იმდენს ალწვეს ეკლესიას და ღვთისმსახურებს იყენებს იმის სათქმელად რომ – „მსოფლიოში ვრცელდება რუკები და კვალიფიკაციები, თითქოს საქართველო აჭარღების, ლაზების, სვანების, მეგრელების, თუშების და სხვათა ხელოვნური გაერთიანებაა, თითქოს ყველას ჩვენ-ჩვენი ენა და კულტურა გვაქვს. ამით უნდათ ჩვენი

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები...

ბილი მაკენილი დაიბადა 1940 წლის 2 მარტს, შოტლანდიაში. თამაშობდა მხოლოდ ერთადერთ საფეხბურთო კლუბ "სელტიკში". გულშემატკივრები ბილი მაკენილს მეტსახელად ფეხბურთის "კეისარს" ეძახდნენ...

აკოლო ფუტრე დაიბადა 1966 წლის 28 თებერვალს პორტუგალიაში. თამაშობდა კლუბებში "სპორტინგი", "პორტუ" (პორტუგალია), "ატლეტიკო", მადრიდი (ესპანეთი), "ბენფიკა" (პორტუგალია), "მარსელი" (საფრანგეთი), "რეჯანა", "მილანი" (იტალია), "ვესტ-ჰემ იუნაიტედი" (ინგლისი), "ატლეტიკო" მადრიდი (ესპანეთი).

ლუის დელ სოლ მირამონტესი დაიბადა 1938 წლის 15 აგვისტოს, ესპანეთში. თამაშობდა კლუბებში: "ბეტისი", "სევილია", "რეალი" მადრიდი (ესპანეთი), "იუვენტუსი" (იტალია). ლუის დელ სოლ მირამონტესი ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე თამაშობდა და ძირითადად შემტევი სტილის ფეხბურთელად ითვლებოდა.

იხმარო

ცირკის დირექტორი ეუბნება ახალ კლოუნს: - მეგობარო, აქედანვე გეუბნებით, რომ ჩვენს ცირკს შესაშური ტრადიციები აქვს. - მაგალითად? - თქვენამდე რომ კლოუნი იყო, სიკვდილის შემდეგ სამი დღის განმავლობაში სიცილით დახსოვდა მორგის თანამშრომლები...

ირონია ასეთი არ უნდა ჩემო კვირფასებო!

მე-11 გე-დან. ერის სხვადასხვა ეროვნულ გაერთიანებად წარმოჩენა. აქედან კი სახელმწიფოს დაშლამდე ერთი ნაბიჯია" და უმთავრესს უმაღლავს მრევლს თუ ვინ ავრცელებს ყოველივე ამას, ნამდვილად რთულადაა საქმე!

თული, მართალი სიტყვის ფლაგმანებს" - „ასაველ-დასავალს“, „ქრონიკას“, „კვირის პალიტრას“ და სხვებს... სიტყვა არ დაუსველებიათ სვანეთ-სამეგრელოსთვის და უმსახურესი ლაფის შესხმას, საქართველოს დედა ტაძრიდან რომ გაისმას...

სასახლის კიბებზე, ზურგზე საქართველოს დროშა მოგდებული „გამარჯვებული“ ყაჩაღის გვერდით მოაბიჯებს და ამ დაწვევით დღიდან რამდენიმე წელიწადში გერმანიის ერთ-ერთ ლტოლვილთა ბანაკში „საქართველოს თავისუფლებისთვის წამებულ“ ზვიადის ტყვე ჩაბარდა!

ISSN 1987-8966 ილორი
რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული
მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალალანი
მთ.რედაქტორის მონაწილე: დავით ქობაღია
ბანკური რედაქტორი: მისხილ როდრიგოვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობაღია
WWW ilori.ge
e-mail: elisabetthal@yahoo.de
რედაქციის განთავსება 34-32-95 893-51-01-71 899-34-37-27